პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 1 ოქტომბერი, 1943 წ. № 205 (6830). ფასი 20 კაპ.

სოციალისტური შრომის გმირი
ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი

სოციალისტური შრომის გმირი
ამხანაგი ლ. პ. ბერია

სოციალისტური შრომის გმირი
ამხანაგი გ. მ. მალენკოვი

სოციალისტური შრომის გმირი
ამხანაგი ა. ი. მიკოიანი

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ კონევს

სტეპნოის ფრონტის ჯარებმა სამი დღის შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დღეს, 29 სექტემბერს, დაიკავეს ქალაქი **კრემენჩუგი**—გერმანელთა ძლიერი ხიდწინა დასაყრდენი პუნქტი მდინარე **დნეპრის** მარცხენა ნაპირზე.

ქალაქ **კრემენჩუგის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **შადოვის**, გენერალ-ლეიტენანტ **მანაგაროვის** ჯარებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ბორიუნოვის** მფრინავებმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

გენერალ-მაიორ **ანციფეროვის** პოლტავის გვარდიის 97-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **სმირნოვის** გვარდიის მე-6 საჰაერო-სადესანტო დივიზიამ, პოლკოვნიკ **ბროვჩენკოს** 214-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **სოკოლოვის** 233-ე მსროლელმა დივიზიამ, პოდპოლკოვნიკ **ხილოგოკის** 219-ე სატანკო ბრიგადამ, მაიორ **ჩერნიავსკის** 469-ე სანაღმმტყორცნო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **გოლდინის** გვარდიის 308-ე სანაღმმტყორცნო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ბრძელიშვილის** 1902-ე თვითმავალმა საარტილერიო პოლკმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად, იმ შენაერთებსა და ნაწილებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქალაქ **კრემენჩუგის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, მიენიჭოთ „**კრემენჩუგის**“ სახელწოდება.

ამიერიდან ეს შენაერთები და ნაწილები იწოდებოდნენ:

კრემენჩუგის გვარდიის მე-6 საჰაერო-სადესანტო დივიზია,
კრემენჩუგის 214-ე მსროლელი დივიზია,
კრემენჩუგის 233-ე მსროლელი დივიზია,
კრემენჩუგის 219-ე სატანკო ბრიგადა,
კრემენჩუგის 469-ე სანაღმმტყორცნო პოლკი,
კრემენჩუგის გვარდიის 308-ე სანაღმმტყორცნო პოლკი,
კრემენჩუგის 1902-ე თვითმავალი საარტილერიო პოლკი.

პოლტავის გვარდიის 97-ე მსროლელი დივიზია, რომელმაც მეორედ გამოიჩინა თავი გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში, წარდგენილ იქნას **წითელი დროშის** ორდენით დასაჯილდოებლად.

დღეს, 29 სექტემბერს, 23 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქალაქი **კრემენჩუგი**,—ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ **კრემენჩუგის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წ. 29 სექტემბერი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა

1943 წლის 29 სექტემბერს შეუპოვარი ბრძოლების შედეგად კალინინის ფრონტის ჯარებმა გერმანელ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს ქალაქი **რუდნია**—მოწინააღმდეგის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი და კომუნიკაციის კვანძი ვიტებსკის მიმართულებით.

ქალაქ **რუდნიას** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში საბრძოლო გაწრთვნილობისა და მანევრირების ოსტატობის ნიმუშები გვიჩვენეს გენერალ-მაიორ **კვაშინინის** დუხოვშჩინის გვარდიის მე-17 მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **მასლოვის** გვარდიის მე-19 მსროლელმა დივიზიამ და პოდპოლკოვნიკ **მიხაილოვის** დუხოვშჩინის 47-ე მექანიზებულმა ბრიგადამ.

მიღწეულ წარმატებათა აღსანიშნავად დუხოვშჩინის გვარდიის მე-17 მსროლელი დივიზია და დუხოვშჩინის 47-ე მექანიზებული ბრიგადა, რომლებმაც მეორედ გამოიჩინეს თავი გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში, წარდგენილ იქნან **წითელი დროშის** ორდენებით დასაჯილდოებლად.

გვარდიის მე-19 მსროლელ დივიზიას მიენიჭოს „**რუდნიას**“ სახელწოდება და ამიერიდან იგი იწოდებოდეს:

რუდნიას გვარდიის მე-19 მსროლელი დივიზია.

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წ. 29 სექტემბერი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა

1943 წლის 30 სექტემბერს დასავლეთის ფრონტის ჯარებმა გადალახეს მდინარე **სოჟი** და ბრძოლით დაიკავეს ქალაქი **კრიჩევი** — მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი და რკინიგზის კვანძი მოგილიოვის მიმართულებით.

ქალაქ **კრიჩევის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პოლკოვნიკ **მალცევის** 212-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **საპრუნოვის** 385-ე მსროლელმა დივიზიამ და პოლკოვნიკ **სავინის** 572-ე ზარბაზნის საარტილერიო პოლკმა.

მიღწეულ წარმატებათა აღსანიშნავად 212-ე მსროლელ დივიზიას, 385-ე მსროლელ დივიზიას და 572-ე ზარბაზნის საარტილერიო პოლკს მიენიჭოთ „**კრიჩევის**“ სახელწოდება და ამიერიდან ისინი იწოდებოდნენ:

კრიჩევის 212-ე მსროლელი დივიზია,
კრიჩევის 385-ე მსროლელი დივიზია,
კრიჩევის 572-ე ზარბაზნის საარტილერიო პოლკი.

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წლის 30 სექტემბერი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
არმიის გენერალ ვ. დ. სოკოლოვსკისა და გენერალ-ლეიტენანტ ნ. ა. ბულგანინის სუვოროვისა და კუტუზოვის ორდენებით დაჯილდოების შესახებ

საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებულ იქნან:

სუვოროვის 1-ლი ხარისხის ორდენით

არმიის გენერალი ვასილ დანიელის-ძე **სოკოლოვსკი**

კუტუზოვის 1-ლი ხარისხის ორდენით

გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **ბულგანინი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოლიკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 28 სექტემბერი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საინტენდანტო სამსახურის გენერალ-პოლკოვნიკ ა. ვ. ხრულევის სუვოროვის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ზაფხულის ფართოდ გაშლილი კამპანიის რთულ პირობებში მოქმედი არმიის შეუფერხებელი მომარაგების უზრუნველსაყოფად უმაღლესი მთავარსარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის საინტენდანტო სამსახურის გენერალ-პოლკოვნიკი ანდრია ვასილის-ძე **ხრულევი** დაჯილდოებულ იქნას **სუვოროვის I ხარისხის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოლიკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 30 სექტემბერი.

გვარდიის გენერალ-მაიორ პ. გ. ჩანჩიბაძეს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 25 სექტემბრის დადგენილებით წითელი არმიის ოფიცერთა შემადგენლობას და გენერლებს მიენიჭათ სამხედრო წოდებანი, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1943 წლის 2 იანვრისა და 4 თებერვლის დადგენილებით. მათ შორის **გენერალ-ლეიტენანტის** წოდება მიენიჭა პორფილე გიორგის-ძე **ჩანჩიბაძეს**.

ქრონიკა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ ამხ. გ. ი. ქობულია გაათავისუფლა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობიდან.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ამხ. ვ. მ. მოლოტოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ომიანობის დროის ძნელ პირობებში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ტანკების წარმოების გაძლიერების დარგში ამხ. ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი „**ნამგალი და ურო**“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოლიკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 30 სექტემბერი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ამხ. ლ. პ. ბერიასათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ომიანობის დროის ძნელ პირობებში განსაკუთრებული დამსახურებისათვის საჭურვლისა და საომარი მასალის წარმოების გაძლიერების დარგში ამხ. ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი „**ნამგალი და ურო**“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოლიკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 30 სექტემბერი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
30 სექტემბრის ოპერაციული ცნობა

30 სექტემბრის განმავლობაში **მოგილიოვის** მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც წარმატებითი შეტევის განვითარებას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 12-დან 20 კილომეტრამდე, გადალახეს მდინარე **სოჟი** და ბრძოლით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი **კრიჩევი**, აგრეთვე დაიკავეს 170-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ლუკი, მიკულინო, ლებედევო, ნიკოდიმოვო, კლედნევიჩი, ნიკოლსკოე, იარცევკა, ესკოვკა, კარტიჟი, ასმოლოვიჩი, შირკი, ტუროვკა, ლობკოვიჩი, დუბროვკა, ივანოვკა, ვორონოვო, ლობუშა, კლინი, ანტონოვკა, გორნო, კოზელსკაია გუდა, ზაბორენიე** და რკინიგზის სადგურები **ტიომნი ლესი, ხოდოსი**.

გომელის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ, ცალკეულ უბნებზე წინ წაიწიეს 10-დან 12 კილომეტრამდე და დაიკავეს გომელის ოლქის რაიონული ცენტრი **სვეტილოვიჩი**, აგრეთვე დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **კურგპაკი, დერნოვპია, გორი, სტაბიკი, კიბირშჩინა, მოროზოვკა, ლოტაკი, ივანოვკა, კალუჟსკაია რუდნია, ლეტიახი, შელუხოვკა, გლუხოვკა, ნესტეროვკა, გარუსტი, გუტა**.

ვიტებსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები მტრის წინააღმდეგობას სძლევდნენ, შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ტროშკი, შერკოვო, გაევო, სისოევო**.

29 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაანგრიეს და მოსპეს გერმანელთა 95 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 36 თვითმფრინავი.

* * *

მოგილიოვის მიმართულებით ჩვენი ჯარებმა წარმატებითს შეტევას აკეთებდნენ. 6 შენაერთის ნაწილებმა გადალახეს მდინარე სოჟი და გააფთრებული ბრძოლების შემდეგ დაიკავეს რკინიგზებისა და ყამირგზების მნიშვნელოვანი კვანძი—ქალაქი **კრიჩევი**. ქალაქ **კრიჩევისათვის** ბრძოლებში მოწინააღმდეგემ 1.200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მარტო მოკლულთა სახით. ხელთ ვიგდეთ მოწინააღმდეგის სარკინიგზო შემადგენლობანი, სამხედრო საწყობები და მრავალი საჭურველი. **კრიჩევის** ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა განდევნეს გერმანელები ლობკოვიჩიდან და მთელი რიგი სხვა ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტებიდან. სულ ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლებულია 170-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 28 ქვემეხი. საომარი მასალის 2 დიდი საწყობი და საწყობი სურსათიანად. წამოყენებულია ტყვეები.

ჩვენი მოიერიშე თვითმფრინავების ჯგუფი, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი მაჭიმოვი მეთაურობდა. საბრძოლო დავალებიდან დაბრუნებისას, შეხვდა მოწინააღმდეგის „**იუ-52**“ ტიპის ექვს სატრანსპორტო თვითმფრინავს. ჩვენმა მფრინავებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე და ჩამოაგდეს გერმანელთა ხუთი თვითმფრინავი.

* * *

გომელის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა მდინარე **ბესედი** გადალახეს, წინ წაიწიეს და დაიკავეს **გომელის** ოლქის რაიონული ცენტრი **სვეტილოვიჩი** და სხვა დასახლებული პუნქტები. ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში მოსპობილია 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 3 თვითმავალი და 14 საველე ქვემეხი, 60 ავტომანქანა და სხვა დაფა. საბჭოთა მოძრაობა ქვეგანაყოფებმა, რომელნიც განაგრძობენ მდინარე **ბესედსა** და **სოჟს** შუა მდებარე რაიონის გაწმენდას მოწინააღმდეგისაგან, ხელთ იგდეს მნიშვნელოვანი რაოდენობის ტყვეები.

მიღებულია ცნობები, რომ 26 სექტემბერს ღამით რკინიგზის კვანძ **გომელზე** ჩვენი აეროაციის თავდასხმის შედეგად აფეთქებულია რამდენიმე საწყობი საომარ მასალიანად და საწვავიანად, მოსპობილია რკინიგზის 4 ეშელონი და დამწვარია მოწინააღმდეგის 200-მდე ავტომანქანა.

* * *

ვიტებსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. 6 შენაერთის ნაწილებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ორი კონტრიერიში, მოახდინეს მარჯვე შემოვლითი მანევრი და მოსპეს გერმანელთა ქვეითი ჯარის 2 ბატალიონი და 2 საარტილერიო დივიზიონი. საბჭოთა ჯარებმა, რომელნიც დეზორგანიზებული მოწინააღმდეგის დევნას განაგრძობდნენ, ხელთ იგდეს დავლა, მათ შორის 3 ორთქმავალი, 22 ვაგონი და 3 სავსებით ვარგისი ტანკი. სხვა რაიონში 6 ნაწილის ქვეგანაყოფებმა გაანადგურეს გერმანელთა 268-ე ქვეითი პოლკის 1 ბატალიონის შტაბი.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაციამ ბალტიის ზღვაში ჩასძირა გერმანელთა ტრანსპორტი 5.000 ტონა წყალწყვისა.

* * *

მოლდაველ პარტიზანთა რაზმმა ნაღმებზე აიფეთქა მოწინააღმდეგის 2 სარკინიგზო ეშელონი. ძარცხის შედეგად დაიმტვრა 2 ორთქმლავალი და 23 ვაგონი. მზვერავმა პარტიზანებმა გამოარკვიეს, რომ აღმადგენელმა რაზმმა ვაგონის ნამსხვრევებიდან გამოიღო 120 მოკლული და მძიმედ დაჭრილი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. **კიევის** ოლქში მოქმედი პარტიზანული რაზმი თავს დაესხა მოწინააღმდეგის ავტოკოლონას. პარტიზანებმა ტანკსაწინააღმდეგო თოფებით მოსპეს ორი ჯავშანმანქანა და რვა ავტომანქანა. მოკლულია რამდენიმე ათეული ჰიტლერელი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს 3 ტყვიამფრქვევი, 30 ავტომატი და ბევრი ვაზნა.

* * *

ქალაქ **სლავიანსკის** ოკუპაციის განმავლობაში გერმანელმა ფაშისტმა მტარვალებმა რამდენიმე ათასი მშვიდობიანი საბჭოთა მცხოვრები აწამეს და დახოცეს. ფაშისტმა ჯალათებმა მარტო 1941 წლის დეკემბერში ამოსწყვიტეს და დახვრიტეს 420 ოჯახი. გერმანელები განსაკუთრებით მძვინვარებდნენ უკანდახევის წინ. ქვემოთ ქვეყნდება აქტი იმის შესახებ. თუ რა ნგრევა მოახდინეს გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ქალაქ **სლავიანსკში**:

„გერმანელებმა სავსებით დაანგრიეს ქალაქის მთელი 25 ფაბრიკა და ქარხანა, მათ შორის: „**კოკსოხიმმონტაჟი**“, სოდის ქარხანა „**კრასნი ხიმიკი**“, სოდის ახალი, სილიკატის, თოლუსის და ავტოსარემონტო ქარხნები. **არტიომის** სახელობის საიზოლატორო ქარხანა, **კრუპსკაიას** სახელობის **კერამიკული** ქარხანა, ბამძლე კერამიკის მაყვალა ქარხანა, ქარხნები „**კრასნი მეტალისტი**“, „**კრასნი ლიტეიშჩიკი**“. სადგურ **სლავიანსკის** რკინიგზის დეპო და სახელოსნოები, მაკარონის, ფანქრისა და ავეჯის ფაბრიკები, სასკოლო მოწყობილობის ფაბრიკა და სხვები. გერმანელთა სპეციალურმა რაზმებმა ცეცხლი წაუკიდეს და აიფეთქეს ელექტროქვესადგურის, წყალსატუმბის, კავშირგამტარობის კვანძის, პურის ქარხნის. წისქვილის შენობები და მოწყობილობა და მდინარე **ტორეცის** ორი ხიდი. „**მეჩირაღდნეთა**“ საგანგებო რაზმებმა დასწვეს 23 საშუალო და არასრული საშუალო სკოლის, ყრუმუნჯთა სკოლის, პედაგოგიური სასწავლებლის, ქიმიური და სარკინიგზო ტექნიკუმების შენობები და ინვენტარი. დანგრეული და დამწვარია **ლენინის** სახელობის **სალაქაო** თეატრი, რომელიც 900 კაცს იტევდა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ქალაქის ბიბლიოთეკა, პიონერთა კლუბი, რკინიგზის საავადმყოფოები და სამშობიარო სახლები, ქალაქის ექვსივე პოლიკლინიკა, ორი აფთიაქი, ორი სამედიცინო ლაბორატორია და სასწრაფო დახმარების სადგური.

ფაშისტმა ბარბაროსებმა მოსპეს **სლავიანსკის** კურორტის სამკურნალო დაწესებულებანი. მათ დაანგრიეს **ტრაგამატოლოგიური** და **ბალნეო-ფიზიოთერაპევტიული ინსტიტუტები**. ტალახსამკურნალო და კურორტის მთელი რვა სანატორიუმი ათობით დამზარე შენობიანად. გერმანელებმა გაჰკაფეს კურორტის პარკი და ძველისძველი ფიჭვნარი. გარდა ამისა, ჰიტლერელმა ბანდიტებმა ქალაქში დასწვეს 1.082 საცხოვრებელი სახლი“.

ამ აქტს ხელს აწერენ **სოდის** ქარხნის „**კრასნი ხიმიკის**“ მუშა ფ. გლუშაკოვი, ქალაქის **პოლიკლინიკის** ექიმი ს. ზოლოტუხინი, მე-3 **სკოლის** პედაგოგი ა. ლიუდვიჩინკო, დეკანოზი **კონსტანტინე** როდიკაკი, სამშობიარო სახლის ექიმი ა. პეტრენკო, მაიორი ნ. ატაროვი და სხვები.

ჩვენი ავიაციის თავდასხმები რკინიგზის კვანძებზე ვიტებსკზე, ორშაზე, მოგილიოვსა და ჯანკოიზე

29 სექტემბერს ღამით ჩვენმა ავიაციამ დაბომბა გერმანელთა თავმოყრილი სამხედრო ეშელონები ვიტებსკის, ორშის, მოგილიოვისა და ჯანკოის რკინიგზის კვანძებზე. დაკვირვებით აღნიშნულია, რომ ბომბები პირდაპირ მოხვდა რკინიგზის შემადგენლობებსა და სამხედრო საწყობებს. დაბომბვის შედეგად ბევრგან ხანძარი გაჩნდა, რასაც თან ახლდა აფეთქებანი.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის აეროდრომებზე დაბრუნდა.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ამხ. გ. მ. მალენკოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ომიანობის დროის ძნელ პირობებში განსაკუთრებული დამსახურებისათვის თვითმფრინავებისა და მოტორების წარმოების გაძლიერების დარგში ამხ. გიორგი მაქსიმილიანეს-ძე **მალენკოვს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი „**ნამგალი და ურო**“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოლიკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 30 სექტემბერი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ამხ. ა. ი. მიკოიანისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ომიანობის დროის ძნელ პირობებში განსაკუთრებული დამსახურებისათვის სურსათით, საწვავითა და სანივთო ქონებით წითელი არმიის მომარაგების საქმის დაყენების დარგში ამხ. ანასტას ივანეს-ძე **მიკოიანს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი „**ნამგალი და ურო**“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოლიკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 30 სექტემბერი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ამხ. ი. ზ. ფეოფანოვისა და ამხ. ბ. ი. კოროგოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ომიანობის დროის ძნელ პირობებში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ხარისხოვანი და მაღალხარისხოვანი ლითონის წარმოების მოწყობის დარგში ყველა სახის საჭურვლის, ტანკებისა, ავიაციისა და საომარი მასალისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის** გმირის წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი „**ნამგალი და ურო**“:

1. ივანე ტევადროსის-ძე **ტევოსიანს**
2. პავლე ივანეს-ძე **კოროგოვს**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოლიკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 30 სექტემბერი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ამხ. ვ. ვ. ვახრუშევისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ომიანობის დროის ძნელ პირობებში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ქვანახშირის ამოღების გაძლიერებისა და თავდაცვითი მრეწველობის სათბობით უზრუნველყოფის დარგში ამხ. ვასილ ვასილის-ძე **ვახრუშევს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის** გმირის წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი „**ნამგალი და ურო**“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოლიკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 30 სექტემბერი.

ამხ. ა. გ. ცაგარეიშვილის დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე ჯარების საბრძოლო მოქმედებათა ვეტერინარული უზრუნველყოფის საქმეში სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია წითელი არმიის ვეტერინარული სამსახურის გენერლების, ოფიცერთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობის ჯგუფი. მათ შორის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია ვეტერინარული სამსახურის უფროსი ლეიტენანტი აკაკი გაბრიელის-ძე ცაგარეიშვილი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არქიტექტურის საქმეთა კომიტეტის შექმნის შესახებ

ამ მიზნით, რომ ამაღლებულ იქნას არქიტექტურის ხარისხი და განსაკუთრებით ამ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას გერმანელი დამპყრობლების მიერ დანგრეული ქალაქებისა და დასახლებული ადგილებას აღსადგენ არქიტექტურულ და საგეგმო სამუშაოთა სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ **დაადგინა:**

1. **სსრ** კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან შეიქმნას არქიტექტურის საქმეთა კომიტეტი.

2. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელობა გავრცელდეს იმ საქმიანობაზე, რასაც არქიტექტურის დარგში ახორციელებენ სხვადასხვა ორგანიზაციები და დაწესებულებანი, მათი საუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად.

3. დაეკისროს **სსრ** კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა კომიტეტს:

ა) ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილთა დაგეგმვისა და გაშენების პროექტთა, უმნიშვნელოვანესი საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი შენობების პროექტთა დამტკიცება;

ბ) ქალაქების, ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების გაშენების ხარისხისა და საცხოვრებელი და სამოქალაქო შენობების აგების სახელმწიფოებრივი არქიტექტურულ-საამშენებლო კონტროლი;

გ) დამუშავება და დამტკიცება ტიპობრივი პროექტებისა და სტანდარტებისა მასობრივი სამოქალაქო და სამინო მშენებლობისათვის, აგრეთვე დამოროექტების ნორმებისა ქალაქების და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილთა დაგეგმვისა და სამოქალაქო და სამინაო მშენებლობის დარგში;

დ) საცხოვრებელი და სამოქალაქო შენობების მოპირკეთებისა და მოწყობისათვის სამშენებლო და მხატვრული მრეწველობას ნაწარმთა ნიმუშების განხილვა და დანერგვა;

ე) არქიტექტურულ-საპროექტო ორგანიზაციათა შემოქმედებითი საქმიანობის მეთვალყურეობა და კონტროლი, მიუხედავად მათი საუწყებო ქვემდებარეობისა;

ვ) არქიტექტურის სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა და არქიტექტურისა და მხატვრული მრეწველობის დარგში კადრების მოსამზადებელ სასწავლებელთა ხელმძღვანელობა;

ზ) არქიტექტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საქმის ხელმძღვანელობა.

4. დაეკალოს **სსრ** კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ არქიტექტურის საქმეთა კომიტეტს დამუშაოს და შეიტანოს **სსრ** კავშირის **სახალხო** კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად:

ა) დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და გაშენების საბინაო და სამოქალაქო მშენებლობის საქმის მოსაწესრიგებელ დადგენილებათა პროექტები;

ბ) უდიდესი ქალაქების დაგეგმვისა და გაშენების პროექტები, აგრეთვე უდიდეს ნაგებობათა პროექტები;

გ) პროექტები გადაწყვეტილებებისა საცხოვრებელი და სამოქალაქო შენობების სამშენებლო და მოსაპირკეთებელ მასალათა, ნაწარმთა და მოწყობილობის ახალ-ახალი სახის წარმოების საკითხებზე;

დ) არქიტექტურული დაპროექტების საქმის მოწესრიგებისა და გაუმჯობესების ღონისძიებანი;

ე) საცხოვრებელი და კულტურულ-ყოფაცხოვრებითი შენობების საცდელი მშენებლობის მოწყობის გადაწყვეტილებათა პროექტები.

5. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებთან და ქალაქ მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში შეიქმნას არქიტექტურის საქმეთა სამმართველოები, ხოლო მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სამხარეო, საოლქო აღმასკომებთან არქიტექტურის საქმეთა სამხარეო, საოლქო განყოფილებანი, რომელნიც იმუშავებენ **სსრ** კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა კომიტეტის დირექტივების მიხედვით.

6. დაწესდეს ქალაქებში, **სსრ** კავშირის **სახალხო** კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული სიის მიხედვით, თანამდებობანი ქალაქის მთავარი არქიტექტორებისა, რომელნიც იქნებიან **სსრ** კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა კომიტეტის ადგილობრივ ორგანოთა გამგებლობაში.

7. შეიქმნას **სსრ** კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარესთან სახელმწიფო არქიტექტურული საბჭო; შეიქმნას მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებთან არსებული არქი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

29 სექტემბრის ოპერაციული ცნობა

სტეპნოის ფრონტის ჯარებმა სამი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა მდინარე **დნეპრის** მარცხენა ნაპირის ხიდწინა სიმაგრეებზე და 29 სექტემბერს იერიშით დაიკავეს ქალაქი **კრემენჩუგი.**

კიევის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა გააფთრებული ბრძოლების შედეგად გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა ხიდწინა სიმაგრეებზე **დარნიცის** რაიონში, უკუაგდეს გერმანელები მდინარე **დნეპრის** მარჯვენა ნაპირზე და დაიკავეს რკინიგზის კვანძი **დარნიცა** და მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტები მდინარის მარცხენა ნაპირზე—**ტროშჩინა, ვიგურაოვჩინა, ტრუხანოვ ოსტროვი, პრედმოსტნაია სლობოდა, პოზდნიაკი, ოსოკორკი.**

გომელის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას, ცალკეულ უბნებზე წინ წაიწიეს 6-დან 10 კილომეტრამდე და დაიკავეს გომელის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი **ვეტკა,** აგრეთვე დაიკავეს 170-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **სამოტევიჩი, პაპოროტნია, ვიაშნოვკა, ზაბოლოტი, მაკარიჩი, შირკი, კაზაცკიე ბოლსუნი, პერელევკა, ბოლშიე და მალიე ნემკი, სტოლბუნი, ბოგოიკი, ბარტოლომეევკა, ბესედი, ნოვოსელკი, რადუგი, ხალჩი, დუბოვი ლოგი, ლეონტიევო, ტარასოვკა.**

მოგილიოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას, წინ წაიწიეს 5-დან 10 კილომეტრამდე და დაიკავეს 870-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ბორისკაია სლობოდა, ვოლინცევო, ბორი, შამოვო, ნესტერენკოვო, ბელი, ლარიანოვო, სელეცი, კოტენეცი, ბერეზოვკა, კრასოვიჩი, მალოე ზაბიჩანიე, ნოვკინო, გალაჩევკა, ვეტუხნა, კრასნიცა, რევენსკი.**

ვიტებსკის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური **რუდნია,** აგრეთვე დაიკავეს 120-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის სმოლენსკის ოლქის რაიონული ცენტრი **პოჩინოზოვი** და დიდი დასახლებული პუნქტები **მიკულინო, ბუტროვო, სუტოკი, ხლისტოვკა, ლიადი.**

28 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 46 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 52 თვითმფრინავი.

* * *

სტეპნოის ფრონტის ჯარებმა დღეს იერიშით აიღეს ქალაქი კრემენჩუგი. მოწინააღმდეგემ ამ რაიონში გადმოისროლა რეზერვები და ყოველი ღონისძიებით ცდილობდა შეენარჩუნებინა მდინარე დნეპრის მარცხენა ნაპირის ხიდწინა სიმაგრენი. სამი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა და დაიკავეს ქალაქი კრემენჩუგი. განადგურებული გერმანელთა ჯარების ნაშთები უკუაგდებული არიან მდინარის მარჯვენა ნაპირზე. დარნიცის რაიონში მოწინააღმდეგის ხიდწინა სიმაგრეთა სალიკვიდაციოდ წარმოებული რამდენიმე დღის გაფთრებული ბრძოლების განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა მოსპეს მტრის 6.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 69 ტანკი და 78 ქვემეხი. ხელთ ვიგდეთ ბევრი ქვემეხი, საომარი მასალა და ავტომანქანები. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

გომელის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს 170-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. საბჭოთა მსროლელმა ნაწილებმა, ტანკების დახმარებით, სწრაფად წაიწიეს წინ და დაიკავეს ქალაქი ვეტკა (გომელის ჩრდილო-აღმოსავლეთით). ქალაქისათვის ბრძოლაში მოწინააღმდეგემ დაჰკარგა სულ მცირე 600 ჯარისკაცი და ოფიცერი მოკლულთა სახით. ხელთ ვიგდეთ დავლა, მათ შორის 15 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი. სხვა უბანზე, 5 შენაერთის მებრძოლებმა ბრძოლებით წაიწიეს წინ, მიადგნენ მდინარე სოჟს და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. მოსპობილია ერთ ბატალიონზე მეტი ჰიტლერელი. წამოყვანილია ტყვეები. ხელთ ვიგდეთ 10 ჯავშნიანი მანქანა, 44 ტყვიამფრქვევი, 600 შაშხანა და ავტომატი, საომარი მასალის საწყობი და 2 საწყობი მარცხეულიანად.

* * *

მოგილიოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს 370-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. 5 შენაერთის ნაწილები მთელ რიგ ადგილს გადავიდნენ მდინარე ვიხრაზე. მოწინააღმდეგე ცდილობდა გამაგრებულიყო ახალ თავდაცვითს ზღუდეზე, მაგრამ განადგურებულ და ოკუდებულ იქნა ჩვენი მოძრავი რაზმების მიერ. ამ ბრძოლებში მოსპობილია 2.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოყვანილია 200-ზე მეტი ტყვე. მარტო ერთი ჩვენი ნაწილის ქვეგანაყოფებმა ხელთ იგდეს 13 ქვემეხი, 124 ტყვიამფრქვევი, 300 შაშხანა, 12 ტრაქტორი-საწევარი და 25 ავტომანქანა.

* * *

ვიტებსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და განაგრძობდნენ შეტევას. 6 შენაერთის ნაწილებმა დღეს დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური რუდნია, აგრეთვე დაიკავეს ბევრი სხვა დიდი დასახლებული პუნქტი. ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში მოსპობილია 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ დავლა, მათ შორის 12 ქვემეხი და 2 საწყობი საომარი მასალა. ჩვენი სხვა შენაერთის ნაწილები, მოუხედავად წვიმისა, რომელმაც გზები გააფუჭა, განაგრძობდნენ მტრის უკუგდებას დასავლეთისაკენ და წინ წაიწიეს 10-დან 15 კილომეტრამდე. ოსტატური შემოვლითი მანევრებით ჩვენი მებრძოლნი აძევებენ გერმანელებს გამაგრებული ზღუდეებიდან. 5 ნაწილის მებრძოლნი გადავიდნენ მდინარე ბერეზინაზე (სმოლენსკის ოლქში) და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 400-ზე მეტი გვამი. ხელთ ვიგდეთ გერმანელთა ორი საარტილერიო ბატარია, 7 ნაღმსატყორცნი, 11 ტანკსაწინააღმდეგო თოფი და 32 ავტომანქანა საომარ მასალიანად. წამოყვანილია 50-ზე მეტი ტყვე.

* * *

ჩრდილოეთის ფლოტის მფრინაველები წარმატებით დაესხნენ თავს მოწინააღმდეგის აეროდრომს და მიწაზე მოსპეს გერმანელთა 20-მდე თვითმფრინავი.

შავი ზღვის ფლოტის ავიაციამ ჩასძირა მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 8.000 ტონა წყალწყვისა, 5 თვითმავალი კარჯაპი და 2 კატერი.

* * *

ლენინგრადის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი ერთსა და იმავე დროს დაესხა თავს რკინიგზის ორი ასაქცევის მცველ რაზმს. პარტიზანებმა გაქლიტეს გერმანელ მცველთა რაზმი, ააფეთქეს 6 ხიდი, 4 სამხედრო საწყობი და დაანგრიეს კავშირგაბმულობის 12.000 მეტრი სტალელგრაფო-სტალეფონო ხაზი. ლენინგრადის სხვა რაზმის პარტიზანები ღამით შეიჭრნენ რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე და დასწვეს მოწინააღმდეგის სამხედრო ეშელონი, რომელიც ლიანდაგზე იდგა. გაფფრთხილებული შეტაკებისას საბჭოთა პატრიოტებმა სადგურში მოსპეს ერთ ასეულამდე ჰიტლერელი.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება ორიოლის ოლქის ბრასოვის რაიონის სოფელ კოლოშიჩის მცხოვრების მოქალაქე მატრონა ივანეს-ასულ კოდანოვას ნამბობი გერმანელი ფაშისტი მტარვალების საშინელი ბოროტმოქმედების შესახებ: „როცა წითელი არმიის ნაწილები ჩვენს სოფელს უახლოვდებოდნენ, გერმანელებმა ყველა მცხოვრებს უბრძანეს დასვრეტის მუქარით დაუყოვნებლივ ევაკუირებულიყვნენ დასავლეთისაკენ. ჩვენ, 30 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, ფარულად წავედით ტყისაკენ, დავემალეთ იქ გერმანელებს და ველოდით წითელი არმიის მოსვლას. რამდენიმე დღის შემდეგ გერმანელმა ჯარისკაცებმა შეგვამჩნიეს. გერმანელმა ბანდიტებმა ტყვიამფრქვევი დაუშინეს უმწეო ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს. მე მიწაზე დავვარდი და თავი მოვიმკვდარუნე. ჰიტლერელთა ხელით დაიღუპნენ მოტია ჩაბანოვა—5 წლისა, ნინო კოდანოვა—6 წლისა და მარიამ კოდანოვა—3 წლისა, ვასილ გუროვი—7 წლისა, ალექსანდრე გუროვი—8 წლისა, ვერა გუროვა—12 წლისა, ნატალია გუროვა—17 წლისა, ივანე გუროვი—80 წლისა და სოფლის სხვა მცხოვრებნი“.

ახალი სასწავლო წელი

დღეს იწყება ახალი სასწავლო წელი სრულ საშუალო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში. მიუხედავად ომიანობის პირობებისა, წელს სკოლები სწავლის დასაწყებად გაცილებით უკეთესად მოემზადნენ, ვიდრე შარშან. **ლენინ-სტალინის** პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად, სკოლები უზრუნველყოფილნ არიან მაღალკვალიფიციური პედაგოგებით, სასწავლო შენობები და ინვენტარი შეკეთებულია, მომარაგებულია შეშა ზამთრისათვის, შექმნილია ყველა პირობა, რათა სკოლებმა შეუფერხებლად იმუშაონ.

ახალი სასწავლო წლის შესახვედრად ცოტა მუშაობა როდი ჩაატარეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, სამედიცინო ინსტიტუტმა, ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა და სხვა უმაღლესმა სასწავლებლებმა. მაგრამ ის, რაც გაკეთებულია, თვითდამშვიდების უფლებას როდი აძლევს უმაღლესი სკოლების ხელმძღვანელებს. პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. სწავლა დაიწყო, დაიწყო მესამე სასწავლო წელი სამამული ომის ვითარებაში და ეს გვავალებს ყოველდღიურად ვიმუშაოთ უმაღლესი სკოლების წინაშე მდგომი ამოცანების ბოლშევიკურად შესრულებისათვის. ყველა ზომა უნდა მივიღოთ სწავლების ხარისხის შემდგომი ამაღლების უზრუნველსაყოფად. ადგილი აღარ უნდა ექნეს ლექციების გაცდენას. უმაღლესმა სკოლებმა წელს კიდევ უფრო მომზადებული, მაღალკვალიფიციური კადრები უნდა მისცენ სამშობლოს.

სამუალო სკოლების უმეტესი ნაწილი სრული მზადყოფნით შეხვდა ახალ სასწავლო წელს. ქალაქ ქუთაისის და მისი რაიონის, ზესტაფონის, სიღნაღის, თელავის, ხაშურისა და სხვა მთელი რიგი რაიონების სკოლები კარგად არიან მომზადებულნი. მაგრამ არის ნაკლოვანებებიც.

ზოგიერთ რაიონში ადგილი ჰქონდა სასწავლო წლისათვის სასკოლო შენობებისა და ინვენტარის რემონტის გაჭიანურებას. ზოგან თავის დროზე არ მიიღეს ენერგიული ზომები ზამთრისათვის შეშის მოსამარაგებლად. წითელწყაროს რაიონში ამ მხრივ წერიოზული ნაკლოვანებებია. მართალია, საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომმა და რაიალმასკომმა, ისე როგორც შარშან, დროულად მიიღეს დადგენილება სკოლების შეშით უზრუნველყოფის შესახებ, მაგრამ არ შეამოწმეს, თუ როგორ მიმდინარეობდა დადგენილების შესრულება. ზაფხული, ეს საუკეთესო დრო შეშის დასამზადებლად, მათ ხელიდან გაუშვეს. ამის შედეგია, რომ რაიონში მთელ რიგ სკოლებს ზამთრისათვის შეშა მომარაგებული არა აქვთ. ამ საკითხის ასე დატოვება არ შეიძლება. საჭიროა სასწრაფოდ იქნას მიღებული ზომები ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად.

სკოლებს წელს უაღრესად სერიოზული სამუშაო აქვთ. განთესილ მოწაფეთა დაბრუნებასთან ერთად, საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ ასეთ შეშფოთვებს ადგილი აღარ ექნეს. დისციპლინის განმტკიცებისათვის განუწყვეტელი ზრუნვა, სწავლებისა და სამხედრო - ფიზკულტურული მომზადების ხარისხის ამაღლება განათლების მუშაკების, სკოლის დირექტორების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებისაგან დაუღალავ მუშაობას მოითხოვს.

წელს პირველად იწყება ქალებისა და ვაჟების ცალ-ცალკე სწავლება, რაც განათლების მუშაკებს ახალი ამოცანების წინაშე აყენებს. პარტიისა და მთავრობის დადგენილების ზუსტად, განუხრელად შესრულებისათვის მთელი სკოლის პერსონალი მჭიდროდ დარაზმული უნდა იბრძოდეს. შემოღებული იქნება მოსწავლეთა ყოფაქცევის წესები, რაც, ბუნებრივია, დიდად შეუწყობს ხელს სკოლაში შექნებული დისციპლინის კიდევ უფრო განმტკიცებას.

დაიწყო სრული საშუალო სკოლებისა და უმაღლეს სასწავლებლების ახალი სასწავლო წელი, მესამე სასწავლო წელი გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ვითარებაში, სანამუშოდ, ბოლშევიკურად ჩავატაროთ იგი! საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღვზარდოთ მცოდნე, უნარიანი, ჯანსაღი ახალგაზრდობა! მივცეთ სოციალისტურ სამშობლოს ახალი მაღალკვალიფიციური კადრები!

საკ. აღკკ XXV წლისთავისათვის

საქ. აღკკ ცენტრალურ კომიტეტში

საქ. აღკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა კომკავშირულ ორგანიზაციებს კომკავშირის 25 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მუშაობა აწარმოონ საკ. აღკკ გმირული ისტორიის და მისი საქმიანობის ფართოდ შესასწავლად. ადგილებზე ჩატარდება ლექციები და მოხსენებები კომკავშირელებსა და კავშირგარეშე ახალგაზრდობას, შორის შემდეგი თემების მიხედვით: „საკ. კ. პ. (ბ), როგორც კომკავშირის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი“, „აღკკ—ბოლშევიკების პარტიის უახლოესი თანაშემწე და რეზერვი“, „საკ. აღკკ ოცდაჩუთი წლისთავი“, „ლენინი და სტალინი ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის შესახებ“, „ამხ. ლ. პ. ბერია ახალგაზრდობის შესახებ“, „კომკავშირი სამამულო ომში“, „საქართველოს კომკავშირი სამამულო ომში“ და სხვ. საქ. აღკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ურჩია კომკავშირის ორგანიზაციებს აღნიშნული საკითხები განიხილონ პირველადი ორგანიზაციების კრებებზეც.

საქ. კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა აგრეთვე 5 ოქტომბრამდე ჩატარდეს კომკავშირული ორგანიზაციების საქალაქო და საარაონო აქტივის კრებები, რომელებზეც განხილული იქნება სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ახალგაზრდობის მოწოდების თანახმად კომკავშირის 25 წლისთავთან დაკავშირებით სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა.

28-29 ოქტომბერს კომკავშირის ყველა პირველად ორგანიზაციაში ჩატარდება საზეიმო სხდომა შემდეგი დღის წესრიგით: კომკავშირის 25 წლისთავი. საზეიმო სხდომების შემდეგ მოეწყობა კომკავშირელთა თვითმოქმედი წრეებისა და ჯგუფების მხატვრული გამოსვლა, აგრეთვე რაიონებსა და ქალაქებში მოეწყობა გამოფენა — რაიონის, ქალაქის კომკავშირის მონაწილეობა სამამულო ომში. 29 ოქტომბრისათვის თბილისში გაიხსნება დიდი გამოფენა თემაზე: საქართველოს კომკავშირი სამამულო ომის დღეებში.

სტალინგრადის აღდგენა. ერთ-ერთი ობიექტის მშენებლობაზე სვეტლანა ლეიბოს, კომკავშირულ-ახალგაზრდული კალატოზთა ბრიგადა აგურის წყობის ნორმას 150 პროცენტით ასრულებს. სურათზე: ბრიგადირი სვეტლანა ლეიბო აწყობს აგურს.

ფოტო ვ. კოსიციანისა (საკადრისის ფოტოქრონიკა).

ვთესოთ სწრაფად და მაღალხარისხოვნად

ახალციხე („კომუნისტის“ სპეც. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებს წელს თავთავიანი მარცვლეული კულტურები შარშანდელზე გადამტებით ჰქონდათ დათესილი. 300 ჰექტარზე. კარგი მუშაობის შედეგად სოფ. [illegible]ლეს ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. კაკაჩიშვილი) პურის საშუალო მოსავალმა ჰექტარზე 14 ცენტნერს მიაღწია, ქერის მოსავალმა კი—27 ცენტნერს. უხვი მოსავალი მიიღეს სოფ. წყალთბილას წითელი მესაზღვრის სახელობის, სოფ. ჯულგას დიმიტროვის სახელობის, სოფ. აბათხევის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობებმა. პურეულის მოსავლის აღება რაიონში დამთავრებულია, გასალეწი კი 9.500 ჰექტარის მოსავლიდან მხოლოდ 100 ჰექტარისას აღწევს. კოლმეურნეობებმა გააჩაღეს სიმინდის მოსავლის აღება. 24 სექტემბრისათვის სიმინდი 2.135 ჰექტარიდან აიღეს 1.000-მდე ჰექტარზე, ხოლო ბუნებრივი თივა 4.808 ჰექტარის ნაცვლად—4.815 ჰექტარზე. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნათესი ბალახები გათიბულია 754 ჰექტარზე. გარდა ამისა ბალახი გათიბულია ბალებში 136 ჰექტარზე, ახლა მეორე თიბვა მიმდინარეობს. წარმატებით მიმდინარეობს პურის დამზადება. 80 კოლმეურნეობიდან 78 კოლმეურნეობამ შეასრულა მარცვლეულის ყველა სახის დამზადების გეგმა.

ვადაზე 3 დღით ადრე, 17 სექტემბერს, რაიონის 8 კოლმეურნეობაში დაიწყო საშემოდგომო კულტურების თესვა და მხოლოდ 3 დღის განმავლობაში მარტო სოფ. აწყურის კოლმეურნეობა „სოციალიზმში“ (თავმჯდომარე ი. ისა ოღლი) 300 ჰექტარიდან დათესეს 60 ჰექტარი, ხოლო სოფ. ტყემლანას კოლმეურნეობა „წითელ ვარსკვლავში“ (თავმჯდომარე გ. ლომიძე) 115 ჰექტარიდან—27 ჰექტარი. ორგანიზებულად მიმდინარეობს თესვა აგრეთვე სოფ. ორალის კამოს სახელობის კოლმეურნეობაში.

შემოწმებამ ცხადყო, რომ საშემოდგომო ხვნა-თესვაში რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობა სერიოზულად ჩამორჩა. [illegible] ბაქაძის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ი. მამეოღლი), [illegible] ნისას, თესვა ყველაზე ადრე უნდა [illegible] ბულია. სოფ. კულტახევის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობას კი (თავმჯდომარე ა. ნაბიოღლი) გეგმით გათვალისწინებული 130 ჰექტარისათვის არც თესლი დაუყვანია კონდიციამდე და ნიადაგიც მოუხნავი აქვს. ჩამორჩნენ აგრეთვე სოფ. სვირის ანდრეევის სახელობის, სოფ. ფირსას დეკანოზოვის სახელობის, სოფ. მუსხის წითელი ოქტომბრის სახელობის, სოფ. ურაველის 26 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობები.

სოფ. ორფოლის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ტაბოროღლი) დაარღვიეს სავალდებულო წესი. ტრაქტორისტმა ი. ფეტისოვმა 36 ჰექტარი ნაცვლად 20-22 სანტიმეტრისა 16-17 სანტიმეტრის სიღრმეზე ბოსნა. ხვნის წესები არ დაიცვეს და ხარისხი არარიას სახელობის, სოფ. კულტახევის წითელ არმიის სახელობის, ტობაშის კაცხოველის სახელობის კოლმეურნეობებში.

ახალციხის მტს-ს (დირექტორი შ. სარქისოვი) დასათესი აქვს 500 ჰექტარი. ტრაქტორისტები ი. ინასარიძე, ი. ფეიქრიშვილი და სხ. დღეში ათ-ათ და მეტ ჰექტარს სთესავენ. მაგრამ სატრაქტორო პარკი ჩამორჩა დავალებათა შესრულებაში. თოსეი 22 სექტემბრამდე არ დაუწყია. 24 სექტემბრისაც კი სოფ. ქვემო სუფლისის ორკეონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მეოთხე და მეხუთე ბრიგადების მანქანები, რომლებზეც რ. კარაპეტიანი და ა. ჩაბოიანი არიან მიმაგრებული, უქმად იდგნენ.

ტრ. თოდუაძე

ნალენჯიხის ჩაის ფაბრიკის გამარჯვება

ნალენჯიხის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი დაუღალავად მუშაობს, რომ ჩვენს ქვეყანას და ფრონტს მისცეს ჩაის მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია. მუშაობა აქ საომარ ყაიდაზეა გარდაქმნილი. ფაბრიკის მუშები, სპეციალისტები კარგად ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. ფაბრიკამ უდიფექტოდ გადაამუშავა 616 ტონა ჩაის ნედლეული და მაისის პროდუქციის გამოშვების გეგმა ნატურით შეასრულა 106 პროცენტით, უცვლელ ფასებში—142 პროცენტით. სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებულმა სოციალისტური შეჯიბრების ჟიურიმ ფაბრიკას მიანიჭა გამარჯვებულთა სახელი და მისცა მეორე პრემია მაღისს გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

ამ წარმატებასთან დაკავშირებით ფაბრიკის კოლექტივი კიდევ უფრო მეტი მონდომებით შეუდგა მუშაობას და იკისრა ახალი ვალდებულებანი. სიტყვა საქმედ აქციეს. ოვნისში პროდუქციის გამოშვების გეგმა ფაბრიკამ ნატურით 185 პროცენტით შეასრულა, უცვლელ ფასებში—210 პროცენტით. ამის გამო ფაბრიკამ მეორეჯერ მიიღო მეორე პრემია. ჩვენი ფაბრიკის მუშათა კოლექტივმა ზედიზედ მოიპოვა გამარჯვება. ფაბრიკის მუშებმა, სპეციალისტებმა, მოსამსახურეებმა, აღფრთოვანებულებმა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ **სტალინის** ბრძანებებით და გმრი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებით, თვალსაჩინოდ გაზარდეს შრომის ნაყოფიერება. პროდუქციის გამომუშავების ივლისის გეგმა ნატურით 209 პროცენტით შეასრულეს. ამის გამო ფაბრიკას გადაეცა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის და პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და მიენიჭა პირველი პრემია.

აგვისტოს დავალება ფაბრიკამ შეასრულა ნატურით 273 პროცენტით, უცვლელ ფასებში—215 პროცენტით. ფაბრიკამ შავი ბაიის ჩაის გამომუშავების წლიური დავალება 1 სექტემბრისათვის 100,2 პროცენტით შეასრულა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 486,9 ტონა შავი ბაიის ჩაისა გამოუშვა 489 ტონა. ფაბრიკის მუშათა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა დამატებით გამოუშვას 40 ტონა მზა პროდუქცია, ფაბრიკის მუშათა კოლექტივი კისრულობს 15 ოქტომბრამდე შეასრულოს ლაო-ჩაის ნახევარფაბრიკატის გადამუშავების წლიური გეგმა და მომავალი წლის 1 იანვრამდე ძირითადად დამთავროს ფაბრიკის მანქანა-დანადგარების კაპიტალური რემონტი. რით მიაღწია ამ უდიდეს გამარჯვებას ფაბრიკამ? იმით, რომ ფაბრიკაში მაღალი შრომის დისციპლინა, მოწესრიგებულია შრომა, ფართოდ არის გაშლილი სოციშეჯიბრება, მზრუნველობით ვეკიდებით კადრებს, სერიოზული ყურადღება ექცევა ტექნოლოგიური პროცესების დაცვას.

მზარდი დახმარება ეწევა ფრონტს. ფაბრიკის კოლექტივმა თავისი დანაზოგიდან 100.000 მანეთამდე საჩუქრები გაუგზავნა წითელ არმიას. ფაბრიკის მუშათა კოლექტივი პირობას იძლევა ახალ-ახალ წარმატებებს მიაღწიოს, ჩაის მეტი პროდუქცია მისცეს ზურგს და ფრონტს, გაორკეცებული ენერგიით იმუშაოს, დაუხმაროს სახელოვან წითელ არმიას, რომელიც დასავლეთისაკენ მიერეკება საძულველ მტერს.

მ. კვარაცხელია

ნალენჯიხის ჩაის ფაბრიკის დირექტორი

თავთავიანი მარცვლეულის მოსავლის აღების დამთავრება

ასპინძა („კომუნისტის“ კორ.). 21 სექტემბრისათვის კოლმეურნეობებმა წარმატებით დაამთავრეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. მოსავალი აღებულია სულ 12.377 ჰექტარზე. თავდაცვისა და მშრომელ დახმარების ფონდისათვის რაიონის კოლმეურნეობებს დათესილი ჰქონდათ 100 ჰექტარი თავთავიანი კულტურები. კოლმეურნეობებმა დახმარების ფონდში დანიშნულებისამებრ ჩააბარეს 107 ტონა ხორბალი. თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების საქმეში კარგი მაჩვენებლები მოგვცეს: სოფ. ზეელის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ბილბოს დეკანოზოვი), სოფ. აგარის მოლოტოვის სახელობის (თავმჯდომარე სოსან ზაზაძე), სოფ. ნიალის მე-18 პარტყრილობის სახელობის (თავმჯდომარე მილაზა ალიევი), სოფ. ხიზაბავრის ბერიას სახელობის (თავმჯდომარე გრორი ველიჯანაშვილი) და სოფელ საროს სტალინის სახელობის (თავმჯდომარე კარსენ ასპასინძე) კოლმეურნეობებმა.

ვ. თამაზაშვილი

შაქრის ჭარხალი

კასპი („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). კოლმეურნეობები უდიდესი ენტუზიაზმით შეუდგნენ შაქრის ჭარხლის აღებას. ამ სამუშაოს მომზადებული შეხვდნენ სოფ. ოკამის, ხვითის, ნიგოზის, ლამისყანის, იგოეთის, ქვემო ხანდაკის კოლმეურნეობები. ჭარხლის ამოღებისთანავე სწარმოებს მისი გადაზიდვა რკინიგზის მახლობელ პუნქტებში, საიდანაც სწრაფად იგზავნება **გადასამუშავებლად** აგარის შაქრის ქარხანაში. რაიონში სულ 4 მიმღები პუნქტია მოწყობილი: კასპში, კავთისხევში, მეტეხსა და გრაკალში. პუნქტებში ჭარხლის მიღებას აწარმოებენ განუწყვეტლივ. შაქრის ჭარხლის ამოღება თანდათან მასობრივად ჩაღდება.

ვ. გუზალაძე

გეგმის შესრულება

აბაშის რაიონის კოლმეურნეობებმა 28 სექტემბრისათვის საქონლის საკვების დასილოსების 1943 წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს—ნაცვლად 1.850 ტონისა დასილოსებ 1.900 ტონა საკვები. საკვების დასილოსება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის მდივანი ცანავა
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბოკერია

„კომუნისტის“ წერილების კვადრაკვ

საკოლმეურნეო ქონების განიავებისათვის—პასუხისგებაში

„კომუნისტის“ რედაქციაში შემოვიდა მამხილებელი კორესპონდენცია აბაშის რაიონის სოფ. სუჯუნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში საკოლმეურნეო ქონების განიავების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის მდივანი ამხ. დ. ცანავა გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით ნაწილობრივ დადასტურდა. აბაშის რაისაბჭოს აღმასკომმა კოლმეურნეობის თავმჯდომარის, მოანგარიშისა და საწყობის გამგის საქმე გადასცა რაიპროკურატურას დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

აბაშის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა დამნაშავეთა საქმე. სასამართლომ კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს ეტაციას და ყოფილ მოანგარიშეს მ. რობაქიძეს მიუსაჯა 1 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

„კომუნისტის“ ბიბლიოთეკა

ბ. სლივკერი

საბჭოთა ხალხის უძლეველი იარაღი

(„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლის ხუთი წლისთავისათვის)

ხუთი წლის წინათ გამოვიდა „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსი“, რომელიც შექმნილია ამხანაგ სტალინის ინიციატივით და პირადი მონაწილეობით.

ეს იყო უდიდესი მოვლენა ბოლშევიკური პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის იდეურ ცხოვრებაში. წიგნის მნიშვნელობა საკმაოდ გამოიჩაკვა ამ ხუთი წლის განმავლობაში — ომისწინა მშვიდობიანი მშენებლობის უკანასკნელ წლებში და განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის პერიოდში.

წიგნი გამოვიდა იმ პერიოდში, როდესაც „...სამხრეთ ევროპაში, ავსტრიისა და ადრიატიკის რაიონში, ისევე როგორც ევროპის განპირა დასავლეთში, ესპანეთსა და მის გარშემოდნარე წყლების რაიონში, ომის ახალი კვანძები გაინასკვა“. (მოკლე კურსი, გვ. 501). ფაშისტები აშკარად ამზადებდნენ ომს ევროპაში, და ეს საფრთხე ჩვენი ქვეყნისა და მთელი ჩვენი ხალხისაგან მოითხოვდა ყურადღების უდიდეს გამახვილებას, სიფხიზლესა და საბრძოლო მზადყოფნას.

„მოკლე კურსმა“ ლენინურ-სტალინური შორსმჭვრეტელობით ჯერ კიდევ მაშინ, 1938 წელს, მობილიზაცია უყო პარტიის წევრებსა და მოწინავე საბჭოთა ადამიანების შეგნებას ომის მძიმე გაჭირვებათა მამაცურად გადატანისათვის. გვასწავლიდა არად ჩაგვეგდო სიკვდილი და გაგვეწირა სიცოცხლე საერთო საქმის გასამარჯვებლად.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა უდიდეს კლასიკურ ნაწარმოებებთან ერთად ჩვენი კადრების ნიადაგსახმარი წიგნი გახდა.

სსრ კავშირის ხალხთა და მთელი მსოფლიოს ათობით ენაზე გადათარგმნილმა, მრავალმილიონიან ტირაჟად გავრცელებულმა წიგნმა უმაგალითო გავრცელება ჰპოვა. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლით პარტიამ მიიღო ბოლშევიზმის ახალი მძლავრი იდეური იარაღი, მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ძირითად ცოდნათა ენციკლოპედია. პარტიის ისტორიის კურსი ბოლშევიზმის მეცნიერული ისტორიაა. მასში გადმოცემული და განზოგადებულია კომუნისტური პარტიის გიგანტური გამოცდილება, რომლის თანაბარი არც ჰქონია და არცა აქვს არცერთ პარტიას მსოფლიოში“. (საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებიდან).

ბოლშევიკური პარტ

დიდება სახელოვანი წითელი არმიის გმირ მეომრებს!

პოლკოვნიკი
მ. ზ. კაზიშვილი

პოდპოლკოვნიკი
ნ. ს. გრძელიშვილი

გვარდიის მაიორი
დ. ბერიაშვილი

მაიორი
ა. ჯაფარიძე

ორდენოსანი პოლკოვნიკი მ. ზ. კაზიშვილი

უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის 1943 წლის 25 სექტემბრის ბრძანებაში იმ ნაწილებს შორის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქ. სმოლენსკის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, აღნიშნულია პოლკოვნიკ კაზიშვილის 133-ე მსროლელი დივიზია, და ამ ბრძანებით მას მიენიჭა „სმოლენსკის 133-ე მსროლელი დივიზიის“ სახელწოდება.

პოლკოვნიკი მიხეილ ზურაბის-ძე კაზიშვილი წითელი არმიის კადრის ოფიცერია. იგი დაიბადა 1899 წელს ქ. თბილისში. საშუალო სასწავლებელიც თბილისში დაამთავრა და 1922 წელს შევიდა თბილისის საარტილერიო სასწავლებელში. მას შემდეგ იგი წითელ არმიაშია. 1936 წელს უკვე პოლკს მეთაურობდა. ამხ. კაზიშვილი თეთრფინელთა წინააღმდეგ ბრძოლების მონაწილეა.

სამამულო ომის დაწყებიდან ამხ. კაზიშვილი ფრონტზე იმყოფება. იგი გამოცდილი არტილერისტია და მისი ქვემეზები დაუნდობლად ელეტენ საზიზღარ მტერს. 1942 წლის მაისში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის პოლკოვნიკი მიხეილ ზურაბის-ძე კაზიშვილი დაჯილდოებულ იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.

გაზეთ „კომუნისტის“ 1942 წლის 16 მაისის ნომერში დაბეჭდილია ვ. ყარა-მურზას წერილი, რომელშიც იგი სწერს:

„პოლკოვნიკი მიხეილ ზურაბის-ძე კაზიშვილი, რომელიც ამას წინათ დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით, არმიაში ცნობილი არტილერისტია, სამშობლოს ერთგული შვილი, მტკიცე ნებისყოფის მეთაური, იგი უნარიანად აწყობს დიდი ქვეგანაყოფის საარტილერიო სროლას და ხელმძღვანელობს მას.

კაზიშვილი დაიბადა 1899 წელს. მან გაიარა სამოქალაქო ომის სკოლა და ახლა არმიაში მოიტანა მთელი თავისი გამოცდილება და უნარი“.

ამხ. კაზიშვილი თავის შვილისადმი მოწერილ ერთერთ წერილში ასწერს თავისი ბრძოლის ეპიზოდს:

„ყველაფრის აწერა ძნელია, მაგრამ ვეცდები გიამბო ერთი ეპიზოდი, რომელიც გუშინწინ მოხდა.

ფაშისტებმა გათენებისას ყველა სახის იარაღის გამანადგურებელი ცეცხლი დაუშინეს ჩემს უბანს. ისროდნენ თითქმის სამი საათის განმავლობაში. ნე პასუხი არ გავეცი, ველოდი, როდის მიწყნარდებოდნენ. ამ ხნის განმავლობაში არც ერთი ვაზნა არ დამიხარჯავს. როდესაც სროლა გათავდა, ჰაერში გამოჩნდა მტრის 15 თვითმფრინავი, ხმელეთზე კი 20-მდე ტანკი. ტანკები შემოეშვნენ ჩვენს სიღრმეში, შემდეგ კი უკან წასასვლელი გზა გადაეკეტეთ. რომ გენახა, როგორ აფორიაქდნენ ფრიცები, ხაფანგში რომ აღმოჩნდნენ. ამ ტანკებიდან 6 დაგწვით, 5 დაუზიანებლად ჩავიგდეთ ხელში, 6 ტანკი დავაზიანეთ, მხოლოდ სამმა ტანკმა ძლივს მოახერხა გაქცევა. ისინიც გზაში დაზიანდნენ...“.

ორდენოსანი პოლკოვნიკი ნ. ს. გრძელიშვილი

ნიკოლოზ სპირიდონის-ძე გრძელიშვილი დაიბადა 1907 წელს ონის რაიონის სოფელ სეფაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ მას საშუალება არ ჰქონდა გაეგრძელებინა სწავლა და დაიწყო მუშობა სოფლის „მეურნეობაში. 16 წლის ნიკოლოზი მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში, სადაც მას საშუალება მიეცა მეიერ განათლება. აქ მან დაამთავრა საარტილერიო სკოლა და გახდა წითელი არმიის მეთაური. მას შემდეგ ამხ. გრძელიშვილი წითელი არმიის რიგებშია. სამამულო ომის დაწყებისას იგი უკვე კაპიტანი იყო.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის კაპიტანი ნიკოლოზ სპირიდონის-ძე გრძელიშვილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით. ამავე ხანებში მან მაიორის წოდება მიიღო.

ამხ. ვრძელიშვილის ძმები — უფროსი ლეიტენანტი ვალერი გრძელიშვილი და არტილერისტი შიო გრძელიშვილი სამამულო ომის ფრონტზე იმყოფებიან. სამივე ძმები არტილერისტები არიან.

ახლა ამხ. გრძელიშვილი უკვე პოდპოლკოვნიკია, მეთაურობს თვითმავალ საარტილერიო პოლკს. იგი იბრძვის სტეპნოის ფრონტზე და მონაწილეობას იღებს მოძმე უკრაინელი ხალხის განთავისუფლებაში ფაშისტი ოკუპანტებისაგან. მისმა პოლკმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ქ. კრემენჩუგის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის 1943 წლის 29 სექტემბრის ბრძანებაში ნათქვამია, რომ იმ ნაწილებს შორის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქ. კრემენჩუგისათვის ბრძოლებში, თავი გამოიჩინა აგრეთვე პოდპოლკოვნიკ გრძელიშვილის 1902-ე თვითმავალმა საარტილერიო პოლკმა, რისთვისაც მას მიენიჭა „კრემენჩუგის 1902-ე თვითმავალი საარტილერიო პოლკის“ წოდება, ხოლო მის მებრძოლებსა და ოფიცრებს გამოეცხადა უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის მადლობა.

მამაცი მეთაურები მ. ჯანელიძე და ი. გორგაძე

ფრონტის ჩვენს უბანზე საბჭოთა ქვეყნის სხვა შვილების მხარდამხარ იბრძვიან ქართველი ხალხის შვილებიც. ბევრი მათგანი გვიჩვენებს გულადობისა და სამშობლოსადმი სიყვარულის ნიმუშებს.

ყოფილი მასწავლებელი ქუთაისიდან **მ. ა. ჯანელიძე** მამაცი მეთაურია, სარდლობა სიამაყით აღნიშნავს ჯანელიძის და მისი ოცეულის საბრძოლო მოქმედებას.

ამას წინათ მათ მოუხდათ მონაწილეობის მიღება სასტიკ ბრძოლაში. ბრძოლის წინ მეთაურმა მიმართა თავის მებრძოლებს:

— დადგა შურისძიების ჟამი. გახსოვდეთ, მთავარია არ შეშინდეთ, არ დაიბნეთ. მხოლოდ წინ...

ჯანელიძე პირველი ეკვეთა მტერს და კომკავშირელ სერჟანტ ხუდიაკოვთან ერთად ყველა მებრძოლი გაიყოლია იერიშზე.

მტრის სანგრებს რომ მიაღწიეს, მებრძოლებმა გრანატები დაიყარეს გერმანელებს. ფაშისტი მხეცის ბუნაგში გაისმა აფეთქება, გრიალი, შეშინებული ფაშისტების ღმუილი.

ჯანელიძის ოცეულმა ათობით გერმანელები გაანადგურა, მტრის პოზიციები დაიკავა და შიგ გამაგრდა.

მამაცი მეთაური წარდგენილია მთავრობის ჯილდოზე.

* * *

მებრძოლები აღტაცებით ლაპარაკობენ ათეულის მეთაურ სერჟანტ **ი. ზ. გორგაძის** გამბედაობაზე.

მტერი ძლიერ უშენდა იმ ადგილს, სადაც გორგაძის ათეული უტევდა. მტრის ტყვიამფრქვევი განუწყვეტლივ კაკანებდა, ნალმები ზედიზედ ეცემოდა და მიწას სთხრიდა.

წინ წაწევა თითქო შეუძლებელი იყო. მაგრამ გორგაძე უცბად წამოდგა, გაიკრა წინ და შესძახა თავის მებრძოლებს:

— წინ, გრანატები დასცხეთ ფაშისტებს!

გორგაძემ პირველმა მარჯვედ სტყორცნა მტერს გრანატი. მტრის სანგრებიდან გაისმა აფეთქება და ამოვარდა შავი კვამლი. მებრძოლებმა მიბაძეს თავის მეთაურს და შეუპოვრად ეკვეთნენ მტერს.

კაპიტანი ზავენ მარგარიანი
მოქმედი არმია.

გვარდიის მაიორი დ. ბერიაშვილი

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ყუბანის გაშლილ ველებზე, მთებსა და ჭაობებში გერმანელებს ვაჟკაცურად ელეტენ ქართველი მებრძოლები, სერჟანტთა და ოფიცერთა შემადგენლობა. მათ დიდებით შეამკეს თავიანთი სახელი და სამშობლოს ღირსება. მათ რიცხვს ეკუთვნის ორგზის ორდენოსანი გვარდიის კაპიტანი დავით ნიკოლოზის-ძე ბერიაშვილი. უშიშარი ვაჟკაცი, ყოველგვარ რთულსა თუ გამოუვალ მდგომარეობაში მხნე, საზრიანი—ასე ახასიათებენ მას მებრძოლები და ოფიცრები.

ძელმიწურებითა და არტილერიით გამაგრებული გერმანელთა თავდაცვის ხაზი გადიოდა დასახლებულ პუნქტ კ-ს მისადგომებთან. ბერიაშვილის ნაღმსატყორცნთა დივიზიონმა მიიღო ამოცანა ნაღმების ცეცხლით გაეწანდგურებინა მოწინააღმდეგის სიმაგრე. მთელი ორი დღის განმავლობაში ნაღმტყორცნელებს განუწყვეტელი ცეცხლის ქვეშ ეჭირათ მოწინააღმდეგის სიმაგრე, ისე რომ არ უგრძნიათ დაღლა. ბერიაშვილმა მოხერხებულად წარმართა ბრძოლა. იმ დროს, როცა ერთი ჯგუფი ნაღმტყორცნელებისა ძელმიწურებს ანადგურებდა, მეორე ჯგუფი ცეცხლს უშენდა გერმანელთა საარტილერიო ბატარიებს. მესამე ჯგუფს კი ცეცხლის ქვეშ ჰქონდა მოქცეული მტრის საკვებისა და საბრძოლო მასალის მიმწოდებელი გზები. ფაშისტები ცდილობდნენ აღმოეჩინათ ნაღმსატყორცნთა საცეცხლე პოზიციები და მოესპოთ ისინი. მაგრამ ამ მიზანს ვერ მიაღწიეს მაშინაც კი, როცა ბერიაშვილის დივიზიონის თავზე გამოჩნდა ბომბდამშენი თვითმფრინავები. როცა საბერო განგაში გათავდა, ფაშისტთა თავდაცვის ზღუდეები კვლავ გაეხვია ნაღმსატყორცნთა ცეცხლში. ნაღმსატყორცნთა ცეცხლის საფარქვეშ წინ გაემართნენ ქვეითნი და რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ ხელთ იგდეს გამაგრებული პუნქტი. ამ ბრძოლაში ბერიაშვილის ნაღმმტყორცნელებმა გაანადგურეს ათობით ძელმიწური, 2 საარტილერიო ბატარია, ჩაახშეს 4 ნაღმსატყორცნი ბატარიის ცეცხლი. გაელიტეს ასობით გერმანელი და რუმინელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ქვეითი მებრძოლები ბრძოლას ეწეოდნენ გამაგრებული მაღლობისათვის. მთელი ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ეს სისხლისმღვრელი ბრძოლა. ნაღმსატყორცნთა დივიზიონის მეთაური ბერიაშვილი ქვეითი ბატალიონის მეთაურის სათვალთვალო პუნქტზე იყო. მან შენიშნა, რომ მსროლელთა ბატალიონის წინწაწევას ხელს უშლის მოწინააღმდეგის ნაღმსატყორცნების ცეცხლი. ბერიაშვილმა მიზანი სასწრაფოდ გამოიანგარიშა და გადასცა თავის გვარდიელებს. გვარდიელთა რამდენიმე ცეცხლითი თავდასხმის შემდეგ მოწინააღმდეგე ჩაჩუმდა. მსროლელმა ბატალიონმა სასწრაფოდ წაიწია წინ და სიმაღლე დაიკავა. ამ ბრძოლაში ბერიაშვილის ნაღმმტყორცნელებმა ჩაახშეს მოწინააღმდეგის 8 საარტილერიო და ნაღმსატყორცნი ბატარიის ცეცხლი, მოსპეს 21 სატყვიამფრქვევი წერტი, მსხვილი ყალიბის 2 ტყვიამფრქვევი, გაანადგურეს 6 ბლინდაჟი, 2 სათვალთვალო პუნქტი და გაელიტეს ასობით ჰიტლერელი.

ამ უკანასკნელ ხანებში მიმდინარეობდა ბრძოლა ერთი მნიშვნელოვანი მაღლობისათვის, რომელიც ბომბებისაგან და გვარდიელთა ნაღმებისაგან მთლიანად იქნა გადათხრილი. მწვერვალი კალთებს გაუსწორდა. ისე რომ მაღლობს ველარ იცნობდით. ეს მაღლობი ცამეტჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. მუქ-მწვანე მაღლობი გერმანელთა გვამებით აჭრელდა. ბერიაშვილის ნაღმტყორცნელებმა ამ ბრძოლაში უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. როცა ჩვენებმა მაღლობი აიღეს, გერმანელებმა კვლავ თავი მოუყარეს ახალ ძალებს და არტილერიისა და ავიაციის მხარდაჭერით კონტრიერიშზე გადმოვიდნენ. მაღლობის თავზე მეხუთედ მოფრინდნენ მტრის ბომბდამშენები. ჩვენს ქვეითებს თავის აღების საშუალებას არ აძლევდნენ. თავიანთი ავიაციისა და არტილერიის ცეცხლის საფარქვეშ მოზოზავდნენ ფაშისტი მეავტომატენი და ერთი-მეორეზე იკავებდნენ ტრანშეებს. მაშინ ჩვენი ქვეითების დასახმარებლად გამოჩნდნენ ბერიაშვილის ნაღმმტყორცნელები. როცა გერმანელები მაღლობის ჩრდილო-დასავლეთ კალთებზე გაბატონდნენ, ბერიაშვილმა ბრძანება გასცა ნაღმსატყორცნთა სეტყვისებური ცეცხლი დაეყარათ თავზე ჰიტლერელთათვის. 3 საათის შეუჩერებელი ბრძოლის შედეგად გერმანელთა ეს უკანასკნელი კონტრიერიშიც მოგერიებულ იქნა ვაჟკაც გვარდიელ ნაღმმტყორცნელთა ცეცხლის წყალობით. ბერიაშვილის დივიზიონმა ამ ბრძოლაში მოსპო ასობით გერმანელი, 4 ნაღმსატყორცნი ბატარია 15 ტყვიამფრქვევი და მწყობრიდან გამოიყვანა 4 ტანკი. მოუხედავად საშიშროებისა, ბერიაშვილი ცეცხლის ალში გაბედულად ტრიალებდა, მოხერხებულად ხელმძღვანელობდა თავის დივიზიონს და მუსრს ავლებდა ფაშისტებს.

სარდლობამ ორგზის ორდენოსანი ბერიაშვილი წარადგინა მესამე ორდენზე და ამ დღეებში მაიორის წოდება მიანიჭა.

უფროსი ლეიტენანტი ი. კეზერაშვილი
მოქმედი არმია.



მოქმედი არმია. ბრძოლები ნოვოროსიისკისათვის. სურათზე: საბჭოთა კავშირის გმირ მაიორ კუნიკოვის რაზმის საზღვაო ქვეითი ჯარის მებრძოლნი ცეცხლს უშენენ მტერს. წინა პლანზე სანიტარი ნინა მარუხნო პირველ დახმარებას უწევს დაჭრილს. ნინა მარუხნო დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“ და წითელი ვარსკვლავის ორდენით. მან ბრძოლის ველიდან გამოიყვანა 42 დაჭრილი.

ფოტო ა. უზლიანისა.

ბრძოლიდან ბრძოლამდე

გრიგოლ ცეცხლაძე

წერილი დედას ფრონტიდან

მომმივიდა შენგან დედი,
პირსახოცი აქარგული
და ბარათი სადაც მწერდი
გვეგონეო დაკარგული.

ვიგრძენ გული ანაძგერი,
ცრემლი თვალთა დანადენი
და მრავალჯერ ხელნაწერი
ჩავიკარი მკერდში შენი.

ჩემი დარდი ვიცი, დედავ,
შენ არასდროს არ გასვენებს.
სიზმარშიაც ალბად ხედავ
სისხლით ნაფერ ბრძოლის ველებს.

და ცხადშიაც პურის ყანას
როდესაც მკით,—ძნები ჭყრია,
ფიქრი მოგდის: „ჩემს ბალანას
მკვდარს თვალი აქვს იქნებ დია;

ან თუ დაჭრილს ვინმე აწვენს,
ან მტერს მისდევს იქნებ მარდი...“
შეგპირდები: არ შეგარცხვენს
შვილი შენი ანაზარდი.

ვერ იტყვიან ჩემს ცუდს სხვები,
მე ვუდგიავარ გვერდით კარგებს
ერთ შემთხვევას მოგიყვები
რისთვისაც მე ქება მარგეს:

მიწას, როგორც კუბოს ხუფი,
დაეხურა ღამე ბნელი.
უამრავი დანაღუპი
ეცემოდა, კვნესდა ველი.

გეზ-სანიშნო ტყვიის ზოლი
ანათებდა მხოლოდ უკუნს.
ორეული და მიწა ზრიალი,
ვერ უძლებდა მიქას, ზეზუნს.

მე კი ამ დროს ვბრუნდებოდი
დაზვერვიდან ნაცნობ ველით.
სიხარულით ვისწრაფოდი
შეპყრობილი გერმანელით.

ტყვე გამოდგა მეტად ურჩი,
მაინც ვსძლიე განაბრაზებს...
ბედი მერგო, გადავურჩი
ჯოჯოხეთურ ცეცხლის ხაზებს

როს მიწურში, სივაგლახით,
შევათრიე ზურგით მტერი;
მხოლოდ მაშინ დავინახე,
რომ ის იყო ოფიცერი.

ჩვენს გენერალს ლესელიძეს,
სახელგანთქმულს სიმამაცით,
დიდ სტალინის ერთგულს მტკიცეს,
წარვუდექი მონატაცით.

გენერალის წინ დამდგარი
ჰიტლერელი რალას იქდა:
გასცა გეგმა თავის ჯარის,
იგი შიშით „ჰეიკჰიკდა“...

ნოვოროსიისკი როცა
მთლად გასწმინდა ჩვენმა ჯარმა,
დამიძახა, მომილოცა
მხიარულმა გენერალმა.

მითხრა: „ყოჩაღ! თავდადება
დაფასდება შენი დიდად!
მადლობა და ჩვენი ქება
მშობელ დედას, ვინაც გზრდიდა!“

მე ვერ გიცნობდი

გმირულად დალუპულ კაპიტან ბ. ბ. სტურუას ხსოვნას

მე ვერ გიცნობდი ძვირფასო ბორის,
ეს უცნობობა—ჩემს გულს აჩნია.
ერთად არ ვმსხდარვართ და შრიალს წნორის
არც შენს ნაზ თმებში უთამაშნია.

შენ სხვაგან გაჩნდი... მე მწვავდა სხვა მზე...
— საკვირველია, თუნდ ეს ნაწერი...
ჩვენ თევზებისთვის მღერალა ფშანზე
არ ჩაგვიდგია ერთად ფაცერი...

არ გვილაღნია ერთად ძმურადა,
არა გვჭერია ერთად ძნა ხელში,
და თუნდაც ყურძნის დასაწურადა,
არ გვირბენია ჩვენ საწნახელში!

შენი დაკარგვა მაშ რად მხვდება გულს
და რათ ატოკებს მებრძოლის გრძნობას?
— ეს იმიტომ, რომ ვერ მოჰკრეფს შაქრულს
ნაყოფს, ბორისი, კახეთში რთვლობას.

ფრონტზე დაეცი... მაგრამ, ეჰ ან კი,—
გმირი მებრძოლი ითვლება მკვდრადა?
სჩანს ბრძოლის ველზე, მრისხანე ტანკი
უკვლავი გმირის ღირსახსოვრადა.

თერგზე, დონზე და კარპატის მთაზე,
შენ ძეხლს აგიგებს ეს ჩვენი მოდგმა,
რადგან გერმანულ ტანკის ჯავშანზე
ეგ გული უფრო მტკიცე გამოდგა.

შენ ტანკს მიეხდე, ძმას და იარალს,
მძლედ გადურაზე ფრიცებს შარა გზა,—
შენ მოგიგონებს, როცა იალალს
გარეკავს მწყემსი ცხვრების ფარასა.

შენ მოგიგონებს სახელ ანკარას
ომში წასულს და მრავალ ნახულსა,
როცა ჩაკრავს თონის თაკარას
თუნდ დედაჩემი შოთის ბაღსა.

ჩასწნავენ შაირს ჩონგურის სიმზე,
მტერთ სავალს ასე ვერვინ დაზვერდ.
ალბად, დაჰხატავს მოსე თოიძე
ბორის სტურუას წიგნის ყდაზედა.

მას, ვინც მებრძოლის დიდებას ემუნო,
ემშობლიურის დუდუნი მტკვრისა,
— უუკვდავესი მზე საამქვეყნო
ვორონეჟის მცველ თბილისელ გმირსა!

ვანო ჭიბოშვილი
მოქმედი არმია

მამაცი ქართველები მტერთან ბრძოლაში

ერთ-ერთი ბრძოლის დროს ათეულმა, რომელშიც ირიცხება სერჟანტი მეტყვიამფრქვევე **სანდრო ლურია**, წაიწია წინ თავისი დაზგის ტყვიამფრქვევით. მეტყვიამფრქვეველები უშენდნენ მტრის ფლანგებს. ჰიტლერელებმა დაინახეს, რომ ტყვიამფრქვევთან არის მამაცთა მხოლოდ ერთი პატარა ჯგუფი, და მოინდომეს გარშემორტყმოდნენ და ცოცხლად ჩაეგდოთ ისინი ხელში. მაშინ მებრძოლებმა გადასწყვიტეს გაერღვიათ რკალი და შეერთებოდნენ თავისიანებს, ამასთან ტყვიამფრქვევიც შეენარჩუნებინათ. „მომყეთ, ამხანაგებო!“—დაიყვირა ლურიამ და გრანატებით ხელში პირველი ეკვეთა გერმანელებს. მას მიჰყვნენ სხვებიც. გაჩაღდა ხანმოკლე, მაგრამ ცხარე და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

ლურიამ ამ ბრძოლაში სამი ჰიტლერელი განგმირა მათთვისვე წართმეული ხანჯლით. მებრძოლები დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში, გამოიტანეს ტყვიამფრქვევი და დაჭრილებიც გამოიყვანეს.

მეორეჯერ ლურია ბრუნდებოდა საბრძოლო დავალებიდან და გზაში ორ ჰიტლერელს წააწყდა. ლურია არ დაიბნა. თვალის დახამხამებაში გაუჩხა ლურიამ ერთ გერმანელს თავის ქალა, ხოლო მეორე დაახრჩო.

ბატარიის მართვის ოცეულის მეთაურმა ლეიტენანტმა **შალვა მუჟაშვილმა** (თბილისელი) ქ. რეევისათვის შეტევითი ბრძოლების დროს მამაცობა და გამბედაობა გამოიჩინა. იგი მიეპარა მტერს, ოსტატურად შეინილბა და აძლევდა მიმართულებას ჩვენი არტილერისტების ცეცხლს. დაჯილდოებულია **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

ბატალიონის მეთაურის მოადგილეს პოლიტნაწილში ანდრია ზაქარიას-ძე **აბრამაშვილს** არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი სამჯერ იყო დაჭრილი და განკურნების შემდეგ კვლავ დაბრუნდა თავის ნაწილში. იგი დაჯილდოებულია მედლით **„მამაცობისათვის“**.

უმცროსი სერჟანტი ნიკოლოზ **სოვას-ძე ქოჩიბაძე** დაიბადა 1919 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ლესიჭინაში. მან თავისი ბატარიის ქვემეხით პირდაპირი დამიზნებით დაანგრია მტრის ძელმიწური საცეცხლე წერტი. დაჯილდოებულია მედლით **„მამაცობისათვის“**.

ამბროლაურის რაიონის სოფ. **ჭრებალოს** მცხოვრებმა, ამჟამად წითელარმიელმა **მელქისედეკ ჩიგვარიამ**, სოფ. ტ-სათვის ბრძოლაში მოსპო 13 ჰიტლერელი და მტრის ტყვიამფრქვევი.

უფროსმა სერჟანტმა **რევაზ ივანეს-ძე სუთაშვილმა** (თბილისელი) მტრის მზვერავებთან ბრძოლაში თავისი ავტომატის ცეცხლით გაანადგურა რამდენიმე გერმანელი. ამხ. სუთაშვილი დაიჭრა, მაგრამ მაინც ისროდა ცალი ხელით და გაანადგურა მტრის ტყვიამფრქვევი. როდესაც ვაზნები გამოელია, მტერს გრანატები დააყარა. ბრძოლის ველიდან მხოლოდ მაშინ წავიდა, როდესაც ბრძოლა დამთავრდა.

უმაგალითო გმირობა გამოიჩინა წითელარმიელმა **ლევან ჭადიამ**. იგი დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია და წინ მიიწევდა. როდესაც დაინახა, რომ ათეული მტრის ცეცხლის ქვეშ ჩაწვა და წინ აღარ მიდის, იგი, ტკივილის მიუხედავად, შეძახილით „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“ წავიდა წინ და გაიყოლია თან მებრძოლები. პატრიოტი ლევან ჭადია ამ ბრძოლაში მტრის ტყვიამ განგმირა. გულადობისა და მამაცობისათვის ამხ. ჭადია დაჯილდოებულია **წითელი ვარსკვლავის** ორდენით და სამხედრო **საბჭოს** ბრძანებით სამუდამოდ ჩარიცხულია თავისი პოლკის სიაში.

წითელარმიელი ვარლამ ვლადიმერის-ძე **კოვზირიძე** (ზესტაფონის რაიონიდან) გულადი და მამაცი მებრძოლია. რ-სთან ბრძოლებში მან ხიშტით და გრანატებით 15 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპო. იგი ოთხჯერ იყო დაჭრილი, წარდგენილია ჯილდოზე.

გვარდიის პოდპოლკოვნიკი კუზნეცოვი
მოქმედი არმია.



ილო მოსაშვილი

ზღვის არწივები

ვიწრო გვირაბმა შეგვიყვანა მაიორ ავთანდილ ჯაფარიძის მიწურში. საავიაციო ელნათურები პაწაწინა ვარსკვლავებივით ციმციმებდნენ ჭერში და გაუბედავად ანათებდნენ ღრმასა და ჩაბნელებულ გამოქვაბულს.

მაიორმა შესვლის უმალვე კედლისაკენ შეაბრუნა კაჩაზე ჩამოკიდებული კიტელი რომლის საგულეზე წითელი დროშის ორდენი ბზინავდა.

რკინის საწოლთან მიდგმულს პატარა სამუშაო მაგიდაც ეუსხედვართ.

მიწურში მკაფიოდ ისმის არტილერიის ხანგამოშვებული სროლა და კედლებზე ჩამოფანტული მიწის ძლივს გასაგონი შრიალი. კარგი ქართულით მოსატბრე პოლკის მეთაური ნაწყვეტ-ნაწყვეტ გვიყვება თავის საომარ თავგადასავალს.

— მე... ორაფერი... ჩემმა შეავარდნებმა მტრის ორასი თვითმფრინავი ჩამოაგდეს... ჩვიდმეტი მარტო ამ უბანზე, მათ შორის შვიდი გუშინ...

განთიადზე მზვერავებმა ამბავი მოიტანეს ზღვაზე მტრის ტრანსპორტები გამოჩნდნენო. გვარდიის კაპიტანი დანილოვი ოავისი მოიერიშეებით მაშინვე აფრინდა. მაშინვე აფრინდნენ ჩვენი გამანადგურებლებიც ორდენოსან კაპიტან აბრამოვის მეთაურობით.

ცწვიმდა. ზღვაზე ქარი ჰქროდა. ადუღებული ტალღები შხეილით ეხეთქებოდნენ კლდიან ნაპირებს.

ჩვენი სახმელეთო თვითმფრინავები შუა ზღვაში იყვნენ, როდესაც მათ გზა გადაუღობა მტრის ექსმა გამანადგურებელმა. დაფლეთილ ღრუბლებიდან ჭურდულად გამოიჭრნენ და თითქოს საგულდაგულოდ შეარჩიეს ახალგაზრდა მფრინავებს ფადეიესა და ლედიაევს ცეცხლიანი წრე შემოავლეს.

ბრძოლა ცხარე და უთანასწორო იყო. მაგრამ კომკავშირელი შეავარდნები წამითაც არ შემდრკალან. ორნი ერთად ხან ცაში შეეცვივდებოდნენ, ხანაც ზეედნან ორნივე ერთად ეკვეთებოდნენ ფაშისტურ სვავებს. როდესაც ფადეიევს მიერ მარჯვედ დამიზნებულმა ტყვიამფრქვევმა ერთი დაცხრილული მეს-ერშმიტი ზღვაში ჩაუძახა, ლედიაევმა მაშინ შეასწრო თვალი, საიერიშოდ დაძაგრული „ფოკე-ვულფი“ რომ გაექანა მისი ამხანაგისაკენ...

— ვერ მოგართვი, ძაღლო!...

შესძახა ახალგაზრდა მფრინავმა და ფრთამალი „იაკი“ მტრის ნაქებ მანქანაზე მიაგდო. მალე ცეცხლის ალში გახვეული „ფოკე-ვულფიც“ ქაფშორეულმა ტალღებმა შთანთქეს. მტრის დანარჩენმა მანქანებმა მოჰკურცხლეს. ფიცხელ ბრძოლაში გართულ ფადეიევსა და ლედიაევს არც კი შეუმჩნევიათ იქვე მახლობელ კაპიტან აბრამოვის დანარჩენი რვა გამანადგურებელი. მტრის თვრამეტმა თვითმფრინავმა რომ მოამწყვდია რკალში. ფაშისტი მფრინავები წყვილ-წყვილად აცხრიბოდნენ თითო ჩვენს მანქანას. ზოგჯერ სამი ერთს უტევდა, ზოგჯერ ოთხიც, მარტო ბერესტოვსკის გამანადგურებელს ექვსი მესერშმიტი დაესია.

მრავალმგადახდილ კაპიტან, განა არ შეეძლო მტრისათვის თავი დაეღწია და თავისი მანქანები ბრძოლიდან გაეყვანა! მაგრამ მისი ამოცანა იყო — მტრის ყველა თვითმფრინავი თავისკენ მიეზიდნა, რომ ჩვენს მოიერიშეებს სამიზნოსაკენ გზა გახსნილი ჰქონოდათ. ამიტომ არ დაერიგა ხიფათიან ჭიდილს...

მაიორ ჯაფარიძის მოწაფეებს შორის ყველაზე ახალგაზრდა მფრინავი ვორობიოვი დღეს პირველად იყო ბრძოლაში. ამას წინათ თავის აიროდრომზე ფრენას რომ სწავლობდა, მის მანქანას მესერშმიტი მიეპარა და ცეცხლი გაუხსნა. მუდამ მხიარულმა და მოუსვენარმა ჭაბუკმა ამ დღიდან ერთბაშად მოიწყინა... განზედ დადიოდა, დანა პირს არ უხსნიდა.

— კარგი ნიშანია... უჯავრელი კაცი მტერს ვერ მოერევა!

მოეწონა ჯაფარიძეს და ამ დილას პირველად ვორობიოვის მანქანასთან მივიდა:

— აბა შენ იცი... ბიჭობით ვერავინ გაჯობებს, მხოლოდ ფრთხილად... მტერმა არ მოგატყუოს! გამახვევა გულფიცხი მოწაფე და მაგარი ხელით ბეჭების ძვლები და კუნთები მოუსინჯა.

— არის, ფრთხილად ვიყო, ამხანაგო მაიორო!

სხაპასხეპით უპასუხა მფრინავმა და მანქანა მოხდენილად მოსწყვიტა მიწას. და აი ეხლა, შენიშნა თუ არა მესერშმიტების ხროვა, ერთი მათგანი, რომელიც ყველაზე უფრო დაწინაურდა, ვორობიოვმა უმალვე ნიშანში ამოიღო. ფაშისტმა ონავარმა ალბათ მისი შეშინება გადასწყვიტა და მანქანა პირდაპირ დაუმიზნა, თითქოს ჯიქურ დაჯახებას აპირებდა, მაგრამ ჯაფარიძის მოწაფე არ მოსტყუდა. თავისი გამანადგურებელი ერთბაშად აღმა შეაგდო, მტერს თეგზე დაჯდა და უსუნთქებლივ დაეყარა ტყვია.

მესერშმიტზე ჯერ კვამლმა იფეთქა, მერე გრძელი ალი ამოიკლაკნა. ვორობიოვი მაინც არ დაეხსნა, თავდაყირა დაჰყვა და როდესაც აგზგზზებული თვითმფრინავი ცხვირით ზღვაში ჩაერჭო, იგი მხოლოდ მაშინ დარწმუნდა, რომ მტერი ალარ სტყუოდა.

კაპიტანი აბრამოვი ამ დროს ორ გერმანელ მფრინავს ერთად ებრძოდა. ორ ცეცხლში მოქცეული თვითონაც ორივეს უშენდა, თანაც თავის რაზმს დასტრიალებდა, იერიშზე მიჰყავდა... მამაცმა მეთაურმა ბოლოს ერთი მესერშმიტი ჩაიხელთა და ტყვიამფრქვევის ცეცხლი სანელივით რომ შემოეჭირა, ალა მეორეს გაეკიდა. ზარდაცემული მტერი ამოდ ცდილობდა თავი დაეღწია მისი ულმობელი ხელისაგან და ვიდრე პირველი მანქანა ზღვას დაენარცხებოდა, მეორეც — ვეება ჩიჩაღდანივით ძირს წამოვიდა. მალე ორი სხვა მესერშმიტი ჩვენი მფრინავების ჯგუფურმა ცეცხლმა მოცელა. დანარჩენი ფაშისტები დაფრთხნენ, უკანმოუხედავად გაიქცნენ...

კაპიტან დანილოვის მოიერიშეებსაც გერმანიის ტრანსპორტებზე უკვე დაეცალნათ თავისი სასიკეთილო ტვირთი. ორი გემი თავის უზარმაზარ ზვინივით იწვოდა, მესამე გემის თავზე კი მხოლოდ ტალღებში ჩამალული ანძები მოსჩანდნენ და ძაბრივით პირდაღებული მორევი ტრიალებდა... ბრძოლ

დეკადური

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 29 სექტემბერი (საკ.). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ამერიკის მეხუთე არმიის ნაწილებმა დაიკავეს კასტელამარე და ნოჩერა. ნოჩერის დაკავებით მოკავშირეთა ჯარები გამოდიან ნეაპოლიტანიის ველზე.

მოკავშირეთა ჯარების ფრონტის ხაზი ამჟამად გადის მარგერიტ დი სავოიიდან, რომელიც ადრიატიკის სანაპიროზე მდებარეობს, ფოჯიამდე და შემდეგ მელფით აღწევს ნოჩერამდე. გერმანელებმა ნეაპოლიტანიის ნაკადგურში ჩასძირეს იტალიის რამდენიმე გემი, რათა ხელი შეუშალონ მოკავშირეებს გამოიყენონ ეს ნავსადგური მომავალში.

ინგლისის მერვე არმია განაგრძობს წინსვლას, ამასთან მხოლოდ მეტად სუსტ წინააღმდეგობას ხვდება.

გერმანელთა თავდაცვის რკალი ნეაპოლის სამხრეთით გარღვეულია.

ლონდონი, 30 სექტემბერი (საკ.). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ინგლისის მერვე არმია განაგრძობს წარმატების განვითარებას. იტალიის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოკავშირეთა ჯარებმა მანფრედონიას მიაღწიეს. ამერიკის მეხუთე არმიამ გააფართოვა მოწინააღმდეგისათვის წართმეული ტერიტორია და წინ მიიწევს ნეაპოლის ველზე. დაკავებულია პომპეა და სანსევერინო. მოწინააღმდეგე უკანდახევისას კვლავ ძლიერ ნგრევას ეწევა.

რეიტერის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი მოკავშირეთა ჯარების შტაბთან ჩრდილოეთ აფრიკაში იუწყება, რომ ნეაპოლის თავზე ხანძართა ალი მოსჩანს. გერმანელთა სპეციალური რაზმები ანგრევენ ფაბრიკებს, შენობებს, საწყობებსა და სხვა ნაგებობებს.

ბრძოლები კორსიკაზე

ლონდონი, 29 სექტემბერი (საკ.). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გერმანელებმა კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოახდინეს ქ. ალერიის ევაკუაცია. მოწინააღმდეგე ნგრევას ეწევა და ჰქნის მრავალრიცხოვან ნაღმიან არეებს, რომლებიც ანელებენ ფრანგთა ჯარების წინსვლას. დამკვრელ ბატალიონთა რაზმებმა და პარტიზანებმა მოახერხეს განემარტოვებინათ მოწინააღმდეგის საარიერგარდო ნაწილები და მძიმე ზარალი მიეყენებინათ მისთვის. წამოყვანილია ტყვეები.

ლონდონი, 30 სექტემბერი (საკ.). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ კორსიკაზე გერმანელები ინარჩუნებენ მხოლოდ ბასტია-ბორგო-ფოლელის რაიონს. აღმოსავლეთ ნაპირზე მოკავშირეთა მიძალებით მოწინააღმდეგე სწრაფად იხევს უკან კორტსა და ზღვას შუა მდებარე რაიონში. პიედი-კოროჩი—მტრის წინააღმდეგობის მნიშვნელოვანი ცენტრი გუშინ მოკავშირეებმა დაიკავეს.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 30 სექტემბერი (საკ.). ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 29 სექტემბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავებმა გააფთრებული თავდასხმა მოაწყეს ბოხუმზე, რურის ოლქის ცენტრალურ ნაწილში. გარდა ამისა, დაბომბილია რურის სხვა ობიექტები.

დღეს ინგლისის ავიაცია თავს დაესხა მთელ რიგ ობიექტებს საფრანგეთში.

დაკავებრება და სიკვდილით დასჯა გერმანიაში დამარცხების მომხრე განწყობილებისათვის

ჟენევა, 30 სექტემბერი (საკ.). აქ მიღებული ცნობების თანახმად, მთელ გერმანიაში აპატიმრებენ და სიკვდილით სჯიან მრავალ პირთ, რომელთაც შესწამებენ მოსახლეობაში დამარცხების მომხრე განწყობილების გავრცელებას. ამას წინათ სიკვდილით დასაჯეს 50 წლის მუშა ავგუსტ ნეიმანი, რომელსაც წარუდგინეს ბრალდება, რომ იგი „არყევს ხალხს სულს ლუდხანებში გამოთქმულ დამარცხების მომხრე შეხედულებათა საშუალებით". ჰიტლერული გაზეთები მრავალ გაფრთხილებას ბეჭდავენ, რომ იმ პირთ, რომელნიც დამარცხების მომხრე საუბარს ეწევიან, დანდობის იმედი არ უნდა ჰქონდეთო. იმ რეპრესიების მიუხედავად, რასაც გესტაპო ახორციელებს, საყოველთაო უკმაყოფილება და გაბოროტება მეტად მწვავდება. ჰიტლერული გაზეთი „ფელკიშერ ბეობაახტერი" ეხება საწარმოებში მზარდი არეგ-დარეგვისა და შრომის ნაყოფიერების შეუწყვეტელი შემცირების მიზეზებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს მოვლენები უმთავრესად „მუშათა ბოროტგანწირახულობით" აიხსნება.

„გაჯავრებული ოსტატი, გაბოროტებული მუშა,—სწერს გაზეთი,—ყველა ისინი თავიანთი ცხეირპირჩამოშვებულობით სწამლავენ საწარმოო ატმოსფეროს, უმართებულო განკარგულებას იძლევიან საქმისადმი ინტერესის უქონლობის გამო, უშვებენ მნიშვნელოვან ვადებს, დაუდევრად ეკიდებიან თავიანთ მუშაობას და საწარმოო დავალებებს". გაზეთი მოითხოვს „ოპერატიულ ჩარევას" საწარმოების მდგომარეობაში და „დაზიანებულ ელემენტთა დაუნდობელ მოკვეთას".

ანგარიშვალდებული გამოსვლები ვენაში

ჟენევა, 29 სექტემბერი (საკ.). შვეიცარიის პრესა იუწყება, რომ ვენაში ამას წინათ დიდი შეტაკება მოხდა ჰიტლერელ მოიერიშეებსა და დახურული პურის დუქნებთან თავმოყრილ მოსახლეობას შორის დუქნებთან შეკრებილმა ქალებმა მოაწყეს საპროტესტო დემონსტრაცია ჰიტლერელების მიერ სურსათის მარაგის რეკვიზიციის წინააღმდეგ. დემონსტრაცია სისტემატიზებულ შეტაკებებით დამთავრდა.

სასოწარკვეთილება გერმანიის არმიაში

ლონდონი, 30 სექტემბერი (საკ.). შვედი ჟურნალისტი ჰუნარა პიილი, რომელიც ბერლინიდან ამა წლის აგვისტოში წავიდა, სწერს გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტში", რომ ოთხი წლის ომმა გამოსცვალა გერმანელი ჯარისკაცის განწყობილება. „ადამიანები, რომელნიც ჩემ თვალწინ პოლონეთსა და საფრანგეთში მარშით დადიოდნენ,—სწერს ავტორი,—მოგვაგონებდნენ კარგად გაწრთვნილ ფეხბურთელთ. ეს ჰიტლერული ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი იყო, აღზრდილი იმისათვის, რომ დახოცილიყო თავისი ფიურერისათვის. ახლა ამ ჯარისკაცთა 60 პროცენტი მიწაში წევს, უმთავრესად რუსეთში, დანარჩენი კი ინვალიდი დაბრუნდა შინ. ბერლინის ქუჩებში ყველგან შეიძლება შეეხვედეთ უფეხო, უხელო, ბრმა ადამიანებს. მათი ადგილი ფრონტზე დაიკავეს ბიჭებმა და 50 წლის მამაკაცებმა. დამახასიათებელია, რომ ჯაბუკებსაც კი მოხუცთა იერი აქვთ. მათი დაგრძელებული, გამხდარი, ნაოჭიანი სახეები უფრო მჭევრმეტყველურად მეტყველებენ, თუ რა განიცადეს იმათ ზამთრის კამპანიის დროს რუსეთში, ვიდრე თვითონ ეათ თავიანთი გონებრივი დონის მიხედვით შესწევთ უნარი გვიამბონ ეს. შვებულებაში მყოფი ჯარისკაცები, რომელთაც მე ვხვდებოდი, ამბობდნენ: „რაც უნდათ გვიყონ, ოღონდ რუსეთში ნუ დაგვაბრუნებენ". ამას ადასტურებს აღმოსავლეთის ფრონტზე მიწავალი სამხედრო მატარებლებიდან წასულ დეზერტირთა რაოდენობა. ახლა ყოველ გაჩერებაზე საჭირო ხდება მატარებლებთან დაყენონ „სს"-ელი მცველნი".

იუგოსლავიის მეფე და მთავრობის წევრები ახლო აღმოსავლეთში გაემგზავრნენ

ლონდონი, 29 სექტემბერი (საკ.). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, იუგოსლავიის მეფე პეტრე ინგლისიდან ახლო აღმოსავლეთში გაემგზავრა. მას თან ახლდნენ მთავრობისა და შტაბის წევრები.

კიბორჩლელი ჯაშუშები კეფებორგის ნავსადგურში

სტოკჰოლმი, 21 სექტემბერი (საკ.). გაზეთმა „ჰეტებორგს ტიდნინგენმა" გამოაქვეყნა ერთი მეთევზის წერილი. იგი იუწყება, რომ ჰეტებორგის ნავსადგური სავსეა პირებით, რომლებიც ჰიტლერელ აგენტებს წარმოადგენენ. ეს პირნი ამ ნავსადგურში დაზვერვითს მუშაობას ეწევიან, ცნობებს ჰკრებენ შვეიციის დასავლეთ სანაპიროს მეთევზეებისაგან შვეიციისა და სხვათა გემების ადგილსამყოფელის შესახებ. ისინი მეთევზეებს ეკითხებიან, ხომ არ დაგინახავთო ზღვაში უცხოეთის სამხედრო გემები, თვითმფრინავები და ა. შ.

სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბის ბერიას სახ. კოლმეურნეობის მოწინავე კოლმეურნე შუშანა ნანდოშვილი.

ფოტო რ. აკოფოვისა

სექტემბრის საწარმოო დავალებების ვადაზე ადრე შესრულება

სტალინის სახელ. ბიგ თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საამქროებს შორის სექტემბრის საწარმოო დავალებების შესრულებაში დაწინაურდნენ ის საამქროები, სადაც უფროსებად არიან ამხ. ს. ტატარინსკი და ამხ. გ. სიმონიანი. ორივე ამ საამქრომ სექტემბრის დავალებები ვადაზე ორი დღით ადრე — 28 სექტემბრისათვის შეასრულა.

თბილისის სპილენძსატკეცი ქარხნის კოლექტივმა (ქარხნის დირექტორი ამხ. კ. მაღლაკელიძე, პარტბიუროს მდივანი ამხ. ე. არუთინოვი) სექტემბრის საწარმოო დავალება 28 სექტემბრისათვის შეასრულა 100,2 პროცენტით. სექტემბრის დავალების შესრულებაში თავი ისახელა მგლინავთა ბრიგადამ, რომელსაც სტახანოველი ბ. ახობაძე ხელმძღვანელობს.

წლიური გეგმის შესრულება

ზესტაფონი („კომუნისტის" სპ. კორ.). ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეოთხე საამქროს კოლექტივი, რომელსაც ცნობილი ინჟინრები, სტალინური პრემიის ლაურეატები გ. სიორიძე და რ. აგლაძე ხელმძღვანელობენ, ახალ-ახალ გამარჯვებას აღწევს. საამქროს კოლექტივმა 24 სექტემბრისათვის შეასრულა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა.

საამქროს გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა 370.000 მანეთის უმაღლესი ხარისხის ლითონი.

განსაკუთრებული თავდადებით მუშაობენ ცვლები, რომლებსაც ნინო დათიაშვილი და ეთერ უნგიაძე ხელმძღვანელობენ. წარმატებებს აღწევენ ოსტატები ამხ. ვ. ნებიერიძე და ივ. მიხაილოვი. დავალებებს 180-200 პროცენტით ასრულებენ ამხ. ნ. ლუტიძე, დ. არაბიძე, ი. დანელია, დ. წითელაშვილი.

საამქროს კოლექტივი წლის დამლევამდე კიდევ დამატებით იძლევა 320.000 მანეთის პროდუქციას, იბრძვის ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდეს დიდი ოქტომბრის რეგოლუციის წლისთავს.

ზრდიან ქვანახშირის გამოღებას

ტყვარჩელი („კომუნისტის" სპ. კორ.). 29 სექტემბერს სტალინის სახელობის შახტის მეხუთე უბნის მნგრეველმა, საფაბრიკო-საქარხნო სკოლის ყოფილმა მოსწავლემ კომკავშირელმა ამხ. ბურლაძემ 6 საათში მოანგრია 107 ტონა ქვანახშირი.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის მეხუთე უბანმა (უფროსი ამხ. ე. აგამოლოვი) ქვანახშირის ამოღების დავალება 162 პროცენტით შეასრულა.

აპ. კალატოზიშვილი

ლანჩხუთის რაიონის სოფ. ნიგვზიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეშვიდე ბრიგადის წევრები ჩაის ფოთლის კრეფაზე.

ფოტო რ. აკოფოვისა

საბჭოთა საქართველოდან

სიღნაღის რაიონის ხირსის საბჭოთა მეურნეობა. სურათზე: სტახანოველი ს. ქოქაია შვილი ყურძნის კრეფაზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

შეხვედრა საბჭოთა კავშირის გმირ ნ. ი. გოგიჩაიშვილთან

ამ დღეებში ჩვენს ნაწილში ჩამოვიდა ქართველი ხალხის სამაყო შვილი, საბჭოთა კავშირის გმირი ნიკოლოზ ივანესძე გოგიჩაიშვილი.

საბჭოთა კავშირის გმირ ნ. გოგიჩაიშვილთან ერთად ჩამოვიდა ლანჩხუთის რაიონის მშრომელთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის მდივანი ნ. პატარაია, ლანჩხუთის რაიალმასკომის თავმჯდომარე მანწყავა, ლანჩხუთის სტალინის სახელობის მილიონერი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. პატარაია და სხვ.

ნაწილის კლუბში შესდგა ქართველ ოფიცერთა, სერჟანტთა და მებრძოლთა შეხვედრა თანამემამულე საბჭოთა კავშირის გმირ ნიკოლოზ გოგიჩაიშვილთან.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის გმირი ნიკოლოზ გოგიჩაიშვილი. მან დამსწრეთ, უამბო თავისი საბრძოლო ეპიზოდები და მეომრებს მოუწოდა აამაღლონ თავიანთი საბრძოლო ოსტატობა. კიდევ უფრო შეუბრალებლად ულატონ გერმანელი დამპყრობნი.

ლანჩხუთის რაიალმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მანწყავამ თავის გამოსვლაში მიმართა მოუთხრო იმ დიდ მუშაობაზე, რასაც ლანჩხუთის რაიონის მშრომელები ეწევიან ფრონტის დასახმარებლად.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა სერჟანტი ვიხეელ ჩხარტიშვილი, რომელიც დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით. მან ლანჩხუთის მშრომელთა დელეგაციას უამბო ქართველ მეომართა იმ ბრძოლების შესახებ, რაც მათ გადაიხადეს მშობლიური კავკასიის დასაცავად.

შეხვედრის დამსწრე მებრძოლებმა, სერჟანტებმა და ოფიცრებმა ლანჩხუთის რაიონის მშრომელებს მიმართეს წერილით, რომელშიც მოუწოდებენ კიდევ უფრო გააძლიერონ ფრონტისადმი დახმარება. წარმატებით აიღონ უზვი სამხედრო მოსავალი.

დელეგაციამ მებრძოლებს ჩამოუტანა ლანჩხუთის რაიონის მშრომელთა მიერ გამოგზავნილი საჩუქრები.

კაპიტანი დ. გაბრიაძე

„ფრონტი და ზურგი"

ოქტომბრის დღესასწაულისათვის მოსკოვში გაიხსნება დიდი გამოფენა — „ფრონტი და ზურგი". გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მხატვრები და მოქანდაკენი: მ. თოიძე, უ. ჯაფარიძე, ი. ვეფხვაძე, ი. ნიკოლაძე, კ. მერაბიშვილი, ე. ახვლედიანი, თ. აბაკელია, დ. ქუთათელაძე, ქ. მაღალაშვილი, ნ. კანდელაკი და ჯაში, რომელთა ნაწარმოებები ამ დღეებში გაიგზავნება მოსკოვს.

მხატვრები ფრონტზე

სამხატვრო გამოფენისათვის, რომელიც საბჭოთა საქართველოს 23 წლისთავისათვის გაიხსნება თბილისის სამხატვრო გალერეაში, საქართველოს მხატვრები დიდი ტულმოდგინეობით ემზადებიან. საგამოფენო კომიტეტმა უკვე გაინიხილა 46 ესკიზი, რომელთაგან დამტკიცებულია 40. ხელოვნების საქმეთა სამმართველომ სპეციალურად მიავლინა თავისი წარმომადგენლები მოსკოვს საღებავებისა და სხვა მასალების შესაძენად. ხელოვნების საქმეთა სამმართველომ ოთხი მხატვარი—შ. შამალაძე, კ. ხუციშვილი, კ. გძელიშვილი და ვ. ჯაფარიძე მიავლინა ფრონტზე წითელი არმიის გმირული ბრძოლების სურათებისა და სახელგანთქმულ ოფიცერთა და მებრძოლთა პორტრეტების დასახატავად.

ლიტერატურული მუზეუმის ფილიალები

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა შუამდგომლობა აღძრა საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა ილიასეულ სახლებში (საგურამო, ყვარელი), ნ. ნიკოლაძის (დიდი ჯიხაიში), ვაჟა-ფშაველას (ჩარგალი) და ე. ნინოშვილის (გურია) სახლებში გაიხსნას საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ფილიალები.

„სამშობლოსადმი"

გამოვიდა ალ. აბაშელის ლექსების კრებული „სამშობლოსადმი". წიგნში, რომელიც შესდგება ორი განყოფილებისაგან—„სამშობლოს ცარსკვლავი" და „გამარჯვების გზაზე", მოთავსებულია 37 ლექსი, ამათგან 20 ლექსი დაწერილია საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში.

წიგნი, რომლის რედაქტორია ი. დოლიძე, გამოსცა სახელგამმა, შეიცავს 94 გვერდს და ღირს 8 მანეთი.

ლანჩხუთის რაიონის ბოლო ამბები

ლანჩხუთის რაიონის ბოლო ამბებზე ამ. მანწყავამ თავის გამოსვლაში მიუთითა, ამ. ბ. ბ. ... ...